ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 13 (20054) შაბათი, 16 იანვარი, 1988 წელი. ფასი 3 კაპ.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

სათბობმომპოვებელთა წარმატება

ტყიბულის აუზის საწარმოთა შორის ე. მინდელის სახელობის შახტი პირველი გადავიდა პროდუქციის ასპროცენტიან სახელმწიფო მიღებაზე. ამას წინ დიდი სამზადისი უსწრებდა.

წინათ ერთი ჰაურიდან ხდებოდა მონგრეული ქვანახშირის გამოზიდვა, დამხმარე მასალების შეზიდვა და მუშახელის გადაყვანა, ეს კი დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. შარშან დეკემბერში საზიდი შტრეკი გაიყვანეს, მწყობრში ჩააყენეს ბუნკერი და გადამყირავებელი. შრომის რიტმიც არსებითად შეიცვალა. შახტის ყველა უბანმა იწყო ბევრად მეტი ქვანახშირის მოპოვება, ვიდრე გეგმა ითვალისწინებდა.

— წარმატება იმის შედეგიც იყო, რომ შემჭიდროებულ ვადებში მოეწყო სამუშაო ადგილების ატესტაცია. შევისწავლეთ დონბასელი ნოვატორის ი. გოზდიოვის ბრიგადის მუშაობის მეთოდი, რომელსაც მაღალი შეფასება მისცა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, — თქვა იჯარის მეთოდით მომუშავე ბრიგადის ბრიგადირმა გ. გაბრიჭიძემ. — სწორედ უკრაინელ თანამოსაქმეთა გამოცდილების გაზიარება და შემდგომი დახვეწა გახდა იმის საფუძველი, რომ ტყიბულელებმა უკვე მოიპოვეს და დანიშნულებისამებრ გაგზავნეს 8,5 პროცენტით მეტი ქვანახშირი, ვიდრე 1987 წლის შესაბამის პერიოდში.

ლიმონი დამხმარე მეურნეობიდან

„კოლხეთმშენის“ ტრესტის გრიგოლეთის დამხმარე მეურნეობის მეციტრუსეებმა სანიმუშოდ მოუარეს ლიმონის ნარგავებს. არახელსაყრელი კლიმატური პირობების მიუხედავად, კარგი მოსავალი მიიღეს. 8 ჰექტარი ახალგაზრდა პლანტაციიდან 9 ტონა საუკეთესო ხარისხის ნაყოფი მოკრიფეს, მიღებული მოსავალი მთლიანად სახელმწიფოს ჩააბარეს.

გრიგოლეთელი მელიორატორები აქედანვე უყრიან მყარ საფუძველს ახალი წლის ბარაქიან მოსავალს. საიმედოდ შეფუთეს ნარინჯოვანთა ნარგავები, ნოყიერ სასუქებს არ აკლებენ ბაღებს და უხვ მოსავალსაც გვპირდებიან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 14 იანვარს გამართულ სხდომაზე კონტროლის წესით განიხილა საკითხი, თუ როგორ სრულდება პარტიისა და მთავრობის წინათ მიღებული გადაწყვეტილებანი რუსეთის სფსრ არაშავმიწანიადაგიანი ზონის აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების შესახებ. განხილვის დროს, რომელშიც მონაწილეობდნენ პარტიის საოლქო კომიტეტების პირველი მდივნები, აღინიშნა, რომ დასახულ ღონისძიებათა განხორციელება დადებით გავლენას ახდენს ქვეყნის ამ დიდმნიშვნელოვანი ეკონომიკური რაიონის განვითარებაზე. მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სოციალური სფეროს განვითარებასა და განმტკიცებას მოხმარდა მნიშვნელოვანი რესურსები. ამის შედეგად შეჩერდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების დაქვეითება, რაც მთელ რიგი წლების განმავლობაში ხდებოდა.

ამავე დროს პოლიტბიურომ მიიჩნია, რომ არაშავმიწანიადაგიანი ზონის აგროსამრეწველო წარმოების განვითარებაში ძირეული გარდატეხა არ მომხდარა. რეგიონის ბევრი ოლქისა და ავტონომიური სოციალისტური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა ვერ უზრუნველყოფს სტაბილურ განვითარებას, სახელმწიფოსა და კოლმეურნეობების მიერ დაბანდებული დიდი სახსრები არ იძლევა სათანადო უკუგებას. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს საქმის ვითარება ვლადიმირის, ივანოვოს, კალინინის, კიროვის, კოსტრომის, რიაზანის, სმოლენსკის, იაროსლავლის, ნოვგოროდის, ფსკოვის ოლქების მეურნეობებში.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ რუსეთის სფსრ არაშავმიწანიადაგიანი ზონის აგროსამრეწველო კომპლექსის როლის შემდგომი გაძლიერება ქვეყნის სასურსათო ფონდის სტაბილურ ზრდაში დიდი პოლიტიკური, საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანაა. დიდი ყურადღება დაეთმო იმის საჭიროებას, რომ უახლოეს დროში უზრუნველყონ ამ რაიონის მოსახლეობა ძირითადი სასურსათო პროდუქტებით საკუთარი წარმოების ხარჯზე. გათვალისწინებულია გაძლიერდეს არაშავმიწანიადაგიანი ზონის სოფლის სოციალური გარდაქმნის ეტაპი, რათა 1995 წელს თითოეული სოფლის ოჯახი უზრუნველყონ ცალკე საცხოვრებელი სახლით და ეზოს ნაგებობებით, სოფლის დასახლებულ პუნქტებში კი იყოს საკმაო რაოდენობის სკოლები, საბავშვო დაწესებულებანი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები. მიზანშეწონილად ცნეს, წლევანდლიდან დაწყებული, განახორციელონ საგზაო მშენებლობის ფართო პროგრამა, გააძლიერონ სოფლების გაზიფიკაციის ტემპი, გააფართოონ ელექტროენერგიის გამოყენება საწარმოო და საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის. დასახულია შეიმუშაონ რუსეთის სფსრ არაშავმიწანიადაგიანი ზონის სოციალური და ეკონომიკური განვითარების 1988-1995 წლების კომპლექსური პროგრამა, მისი რეალიზაციისათვის პრიორიტეტულად გამოყონ კაპიტალური დაბანდებანი, მატერიალურ-ტექნიკური რესურსები. განისაზღვრა რუსეთის სფსრ არაშავმიწანიადაგიანი ზონის აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებანი.

განიხილეს საკითხი, თუ როგორ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის 14 ივლისის დადგენილება „ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში ავარიის მიზეზების გამოძიების შედეგებისა და ავარიის შედეგების ლიკვიდაციის, უსაფრთხო ატომური ენერგეტიკის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ და პარტიისა და მთავრობის სხვა გადაწყვეტილებანი ამ საკითხზე.

აღინიშნა, რომ ავარიის შემდეგ განვლილ პერიოდში ამ მიმართულებით განხორციელდა დიდი მასშტაბის ღონისძიებათა კომპლექსი, შემჭიდროებულ ვადებში აშენდა დანგრეული ენერგობლოკის უნიკალური საფარი. საექსპლოატაციოდ გადაეცა დარჩენილი სამივე ენერგობლოკი. მთავრდება ენერგეტიკოსთა ახალი ქალაქის — სლავუტიჩის პირველი რიგის მშენებლობა. გადაწყდა მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც უკავშირდება ატომური ენერგეტიკის ორგანიზაციული და ტექნიკური დონის სრულყოფას. ამ პრობლემების გამო მიღებულია მთავრობის მთელი რიგი დიდი გადაწყვეტილებანი.

რაიონებში, რომლებმაც განიცადეს რადიოაქტიური გაჭუჭყიანება, განხორციელდა ქალაქების, დაბებისა და სოფლების დეზაქტივაცია. ხორციელდება აქ მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის, მისთვის საჭირო სამედიცინო დახმარების გაწევის დიდი ღონისძიებანი. მუშაობა გაშალა რადიაციული მედიცინის საკავშირო ცენტრმა. დიდი მოცულობის სადეზაქტივაციო სამუშაოთა შესრულების შედეგად რადიაციის დონე ელექტროსადგურის ტერიტორიაზე, მის შენობებში შემცირდა ოდენობამდე, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურე პერსონალის უსაფრთხო მუშაობას. ადამიანთა დეტალურმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ მათს ჯანმრთელობაში არ შეინიშნება რადიაციასთან დაკავშირებული არავითარი გადახრა.

მთელი გახიზნული მოსახლეობა ახალ ადგილებზე უზრუნველყოფილია სამუშაოთი და ბინით. ამ მიზნით აშენდა 21 ათასზე მეტი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, სოციალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურული დანიშნულების 800-მდე ობიექტი, გამოყოფილია 15 ათასი ბინა. გადახდილია 900 მილიონ მანეთზე მეტი სხვადასხვაგვარი კომპენსაცია და შეღავათი. ავარიის შედეგების სალიკვიდაციოდ გაწეულმა პირდაპირმა ხარჯებმა შეადგინა დაახლოებით 4 მილიარდი მანეთი, ხოლო ამ რაიონებში პროდუქციის წარმოების მოცულობის შემცირებასთან და სხვა ხარჯებთან დაკავშირებული დანაკარგების გათვალისწინებით — დაახლოებით 8 მილიარდი მანეთი.

მოცულობითა და ტექნიკური სირთულით უპრეცედენტო ავარიის შედეგების აღმოფხვრის სამუშაოთა მოკლე ვადებში განხორციელება შესაძლებელი გახდა მუშათა, მეცნიერთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, მოსამსახურეთა, საბჭოთა არმიის მეომართა დიდი პატრიოტიზმისა და თავდადების მეოხებით. საბჭოთა ადამიანების შეკავშირებისა და კოლექტივიზმის დადასტურება გახდა ის, რომ მათ ჩერნობილის ფონდში დაახლოებით 540 მილიონი მანეთი გადარიცხეს.

პოლიტბიურომ განსაზღვრა ავარიის შედეგების ლიკვიდაციის შემდგომი ამოცანები. სსრ კავშირის ატომური ენერგეტიკის სამინისტროს და სხვა სამინისტროებსა და უწყებებს წინადადება მისცა მთელი ძალისხმევა მოახმარონ ატომური სადგურების სრული უსაფრთხოების უზრუნველყოფას. განსაკუთრებით აღინიშნა, რომ ჩვენს ქვეყანაში ატომური ენერგეტიკის განვითარება დაფუძნებული უნდა იყოს თვისებრივად ახალ ტექნიკურ საფუძველზე, აბსოლუტურად საიმედო საინჟინრო და კონსტრუქტორულ გადაწყვეტებზე, ატომური ელექტროსადგურების კოლექტივებში მტკიცე ტექნოლოგიურ დისციპლინაზე, დიდი მნიშვნელობა მიენიჭა იმას, რომ უნდა გაძლიერდეს კადრებთან მუშაობა.

პოლიტბიურომ მოიწონა სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად მომზადებული წინადადებანი შრომითი კოლექტივების საბჭოების არჩევის წესის, საწარმოთა ხელმძღვანელების არჩევნების მოწყობის თაობაზე. აღინიშნა, რომ შრომითი კოლექტივების საბჭოებისა და ხელმძღვანელების არჩევნები უნდა უზრუნველყოფდეს წარმოების მართვაში იმ მუშაკთა ჩაბმას, რომლებსაც აქვთ პროფესიული კომპეტენტურობა, მაღალი მორალურ-პოლიტიკური თვისებები, შეუძლიათ საზოგადოების, კოლექტივისა და თითოეული მშრომელის ინტერესების შეხამება.

პოლიტბიურომ მოიწონა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან მ. იაკეშთან მ. ს. გორბაჩოვის საუბრის შედეგები. კმაყოფილებით აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია ერთნაირად უდგებიან სოციალისტური მშენებლობის ძირითად პრობლემებს, ერთნაირი შეხედულებანი აქვთ საგარეო პოლიტიკის ძირეულ საკითხებზე. საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარების ახალი ფართო შესაძლებლობანი იხსნება ორივე მოძმე ქვეყანაში გარდაქმნის, დემოკრატიზაციის, მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური პროგრესის დაჩქარების კურსთან დაკავშირებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილეს აგრეთვე საბჭოთა ეკონომიკის განვითარების, ჩვენი ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური კურსის განხორციელების ზოგიერთი სხვა საკითხი.

სახალხო მეურნეობა: რადიკალური რეფორმა



მუშაობის ახალ პირობებში

შარშან საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ მაღაროელებმა მოიპოვეს გათვალისწინებულზე მეტი მადანი. მოგებამ ამ პერიოდში 11,2 მილიონ მანეთს გადააჭარბა, რაც გეგმით გათვალისწინებულს 1,2 მილიონი მანეთით აღემატება. ჭიათურელებმა მიაღწიეს ყოველი მოპოვებული ტონა მანგანუმის მადნის თვითღირებულების შემცირებას.

ყველა ამ მაჩვენებელმა კარგი წანამძღვრები შეუქმნა იმას, რომ ახალი, 1988 წლიდან სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადავიდნენ. გაერთიანება მნიშვნელოვან სახსრებს ახმარს მოსახლეობის სოციალურ-კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობას.

სურათებზე: ცვლის უფროსი ომარ ასანიძე და მაღაროელები ზურაბ სამხარაძე, მიხეილ ჩიოკვაძე, იუზა მაჭარაშვილი და ზურაბ კუსიანი იხილავენ ცვლის შედეგებს; მადნის მოპოვება დიმიტროვის სახელობის მაღაროთსამმართველოს ღია კარიერში.

ი. შლამოვისა და ვ. ტერეშჩენკოს ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სუსხიანი სტრიქონები

ზოზინმშენს... ყველა ამართლებს

აჭარაში დიდ იმედებს ამყარებენ ახალ მრავალპროფილიან რესპუბლიკურ საავადმყოფოზე, სადაც ყველა სამსახური ერთ კომპლექსში იქნება თავმოყრილი. მისი ამოქმედების შემდეგ შესაძლებელი გახდება აგრეთვე გაიხსნას დიაგნოსტიკური ცენტრი, ხოლო შენობაში, სადაც ახლა რესპუბლიკური საავადმყოფოა, სასწრაფო დახმარების საავადმყოფო გაიხსნება. ერთი სიტყვით, ძნელია ჯეროვნად არ შეაფასო ახალი სამკურნალო დაწესებულების მნიშვნელობა. მაგრამ ობიექტის დამთავრებას, რომლის მშენებლობაც აი უკვე მეექვსე წელია მიმდინარეობს, ვერა და ვერ ეღირსა საშველი. საკმარისია ითქვას, რომ 8 მილიონ მანეთზე მეტი თანხიდან მშენებლებმა შეასრულეს სულ 2 მილიონ 530 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.

— ქრონიკული ჩამორჩენის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია რკინაბეტონის კონსტრუქციათა გამუდმებული ნაკლებობა, რომლებსაც გვიგზავნიან „მშენინდუსტრიის“ ტრესტის ქუთაისის № 2 რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხანა და ჩვენი ტრესტის სამრეწველო საწარმოთა კომბინატი, — თქვა რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტის № 1 სამშენებლო სამმართველოს უფროსმა ლევან ღოღობერიძემ. — მაგალითად, გასული წლის თერთმეტი თვის მანძილზე 2.282 კუბური მეტრის ნაცვლად მივიღეთ 1800 კუბური მეტრი. თანაც ქუთაისელები ახლა არ ამზადებენ ძველი ნიმუშის რკინაბეტონის კონსტრუქციებს, რომლებითაც შენდება საავადმყოფოს ზოგიერთი კორპუსი. ამის შედეგად მთელი ტვირთი აწვება № 5 ტრესტის სამრეწველო საწარმოთა კომბინატს, სადაც ამ კონსტრუქციების დამზადება უხდებათ თითქმის ნახევრად შინამრეწველური ხერხით, იმის გამო, რომ ვერ გააჩნიათ საჭირო მოწყობილობა.

განვლილი ექვსი წლის მანძილზე გენმოიჯარემ შეძლო უზრუნველეყო მხოლოდ პოლიკლინიკის ნაგებობისა და სამეურნეო კორპუსის სამი შენობის სამშენებლო მზაობა. გასული წლის დამდეგს მშენებლები შეუდგნენ მთავარი 12-სართულიანი კორპუსის საძირკვლის ჩაყრას. გათხარეს ქვაბული, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ იძულებული გახდნენ მუშაობა შეეწყვიტათ. კომბინატმა ვერ უზრუნველყო ბეტონისა და არმატურის მოწოდება. მაგალითად, 180 ტონის ნაცვლად მიღებულია სულ 10 ტონა არმატურა. აქ თავი ვერ გაართვეს ვერც ვერტიკალურ მოშანდაკებას. არ არის ბალასტი. 25.000-ის ნაცვლად ჯერჯერობით შემოზიდულია 1.000 კუბური მეტრი.

— არ გვყოფნის მექანიზმები, გვაკლია სპეციალისტები, — ჩივის მშენებლობის სამუშაოთა მწარმოებელი მამედ ჰურკვეიძე, — 16 ტონა სიმძლავრის ამწე აქ გამუდმებით უნდა გვქონდეს. მაგრამ იგი ხშირად მიაქვთ ხოლმე სხვა ობიექტებზე. ჩვენ უკვე გვაქვს სამუშაოთა ფრონტი სანტექნიკოსების, ელექტრიკოსებისათვის, მაგრამ ქვემოიჯარეები — „საქსანტექმონტაჟის“ და „საქელექტრომონტაჟის“ ადგილობრივი უბნები რატომღაც არ ჩქარობენ. ბათუმის სახლთსაშენებელი კომბინატი ზოგჯერ გვაღალატებს ხოლმე.

ნელი ტემპით მიმდინარეობს სხვა სამუშაოებიც, მაგალითად, საკანალიზაციო სისტემის გაყვანა. საქმე ის არის, რომ მისი პროექტი 1980 წელს შეადგინეს. მას შემდეგ ტერიტორიამ, სადაც 3.000 მეტრი სიგრძის კოლექტორი უნდა განლაგდეს, ბევრი ცვლილება განიცადა. ამიტომ პროექტი სერიოზულად არის დასახვეწი.

— პოლიკლინიკა, სამეურნეო კორპუსი და გარე კომუნიკაციები პირველ ასამოქმედებელ კომპლექსშია შეტანილი, — თქვა კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების უფროსმა არჩილ ებრალიძემ. — ჩვენ უკვე მტკიცედ მოვკიდეთ ხელი მოწყობილობის მომარაგების საკითხებს — მივიღეთ წყლის გასაცხელებელი ქვაბები, წყლის ქიმიური წმენდის აპარატურა, მოველით სხვა დანადგარებსაც. მაგრამ ბუნებრივად იბადება კითხვა: სად დავატიოთ ყოველივე ეს?

— საშენი მასალის ნაკლებობის გამო მშენებლობას აციებს და აცხელებს, — შემოგვჩივლა № 5 ტრესტის მთავარმა ინჟინერმა ანზორ ჩიქოვანმა. — დღესდღეობით არ მიგვიღია 2.400 ტონა ცემენტი, რომელსაც მოველოდით.

ამრიგად, როგორც ხედავთ, თავის გასამართლებელი საბუთი ყველა პარტნიორს გამოუჩნდა. სამწუხაროდ, ყოველი მათგანი სჯერდება მხოლოდ საქმის მდგომარეობის კონსტატაციას, პრობლემათა გადაჭრის ძიებით კი თავს არ იწუხებს. არადა, მხოლოდ ასეთი მიდგომა უშველის საქმეს.

თ. გენძეხაძე,
საქინფორმის კორ.

ვაჯამებთ 1987 წლის შედეგებს

გარდატეხა უნდა მოხდეს

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს კოლეგიის გაფართოებული სხდომიდან

როგორ გარდაიქმნას მშენებლობა? რა უნდა გაკეთდეს საიმისოდ, რომ სახალხო მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესმა დარგმა ჯეროვნად დააჩქაროს მუშაობა? რა რეზერვებია დაუყოვნებლივ ასამოქმედებელი? ამ და სამშენებლო კომპლექსის საქმიანობის სრულყოფის მრავალმა სხვა საჭირბოროტო საკითხმა განსაზღვრა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე გამართული პრინციპული, საქმიანი სჯა-ბაასის ტონი და შინაარსი. სხდომაზე განიხილეს დარგის მუშაობის შედეგები განვლილ წელს და 1988 წლის ამოცანები.

კოლეგია გარდაქმნის პირობებში სამინისტროს საქმიანობის დიდმნიშვნელოვანი მოვლენა გახდა. მან ღრმად გააანალიზა დარგის მდგომარეობა, განსაზღვრა ნაკლოვანებათა დაძლევის, სრული სამეურნეო ანგარიშის, თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების ახალ პირობებში წარმატებული მუშაობის გზები.

კოლეგიის სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სახმშენის თავმჯდომარე ი. პ. ბატალინი, ამხანაგები ა. ნ. გლურჯიძე, ო. ე. ჩერქეზია, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მშენებლობის განყოფილების სექტორის გამგე ვ. ა. სიდოროვი, სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე პ. პ. ზოლოტოვი, სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მინისტრის მოადგილე ვ. თ. ბრიუნინი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ზ. ა. ლაბახუამ, რესპუბლიკის მშენებლობის მინისტრმა დ. ვ. მანჯგალაძემ და სხვა ორატორებმა აღნიშნეს, რომ დარგი ახლა რთულ მდგომარეობაშია.

კოლეგიის სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ი. პ. ბატალინმა.

აღინიშნა, რომ, საგრძნობი დახმარების მიუხედავად, რომელსაც მშენებლებს რესპუბლიკური და საკავშირო ორგანოები უწევენ, ამ დარგში გარდატეხა ჯერ არ მომხდარა. საკმარისია ითქვას, რომ რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს ოცდაათი ორგანიზაციიდან წარმოების საერთო მოცულობას თავი გაართვა მხოლოდ რვამ.

სხდომაზე განსაკუთრებული ყურადღება მიეპყრო სოციალური სფეროს ობიექტების მშენებლობის პრობლემას. დარგობრივი სტატისტიკა მოწმობს, რომ საბინაო მშენებლობის გეგმა შესრულდა, საექსპლოატაციოდ გადაეცა 988,8 ათასი კვადრატული მეტრი ბინა, რაც 13,3 პროცენტით, ანუ 116 ათასი კვადრატული მეტრით მეტია 1986 წლის მაჩვენებელზე. მაგრამ არ შეიძლება შეშფოთებას არ იწვევდეს ის, რომ დავალებას თავი ვერ გაართვეს თბილისის მე-5 სახლთსაშენებელმა კომბინატმა, ბათუმის სახლთსაშენებელმა კომბინატმა, სოხუმის № 6 ტრესტმა, ზუგდიდის № 12 ტრესტმა და „საქმონოლითმშენის“ საპროექტო-სამრეწველო-სამშენებლო გაერთიანებამ. სერიოზულ საყვედურს იმსახურებს „თბილისქალაქმშენის“ ხელმძღვანელობა, რომელმაც ვერ უზრუნველყო რესპუბლიკის დედაქალაქში საცხოვრებელი სახლების მწყობრში ჩადგომის გრაფიკი.

ნამდვილი ჩავარდნაა დაშვებული ზავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობაში. 17 ასამოქმედებელი საბავშვო ბაღიდან არ ჩაბარებულა სამი, რომლებიც 850 ბავშვისათვის იყო განკუთვნილი. საქმე კარგად ვერ არის ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მშენებლობის მხრივაც.

რამდენადმე უკეთესი მდგომარეობაა საკუთარი საწარმოო ბაზის განვითარების საქმეში, რაც მთელი მუშაობის პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა იყოს მიჩნეული. ამ მიზნით შარშან 46,5 მილიონი მანეთი დაიხარჯა. საექსპლოატაციოდ გადაეცა 16 საწარმოო ობიექტი, მათ შორის 70 ათასი კუბური მეტრი ასაწყობი რკინაბეტონის, 200 ათასი კუბური მეტრი მსუბუქი შემვსების, 250 ათასი კუბური მეტრი ინერტული და სხვა მასალის გამოსაშვები სიმძლავრეები. ამოქმედდა მონოლითური სახლმშენებლობის ბაზა, საკომპლექტებელი ბაზა დასავლეთ საქართველოში, „სპეცმშენის“ ტრესტის მანქანა-მექანიზმების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების სიმძლავრეები და ა. შ.

წინა წლებზე უკეთ შესრულდა 1988 წლის გეგმის ფორმირება. 1987 წელთან შედარებით ერთდროულად ასაგები ობიექტების რაოდენობა 1230-დან 886-მდე შემცირდა, სამუშაოთა საშუალო მოცულობა ერთ მშენებლობაზე 25 პროცენტით გაიზარდა.

წლეულს რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს კოლექტივებმა ვრცელი პროგრამა უნდა შეასრულონ. იგი, კერძოდ, მოიცავს 950 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელ სახლებს, 11250 მოსწავლისათვის გათვალისწინებულ სკოლებს, 2620 ბავშვისათვის განკუთვნილ საბავშვო ბაღებს, 1300-საწოლიან საავადმყოფოებს, 1770 მომსვლელისათვის დაგეგმილ პოლიკლინიკებსა და 1440-ადგილიან პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს.

შარშან მშენებლობის სამინისტროს დიდი ფინანსური დახმარება გაეწია, რამაც შესაძლებელი გახადა დარგში მდგომარეობის საგრძნობი სტაბილიზება. მაგრამ რადიკალური ეკონომიკური რეფორმა დაჟინებით მოითხოვს სამეურნეო მუშაობის ყოველმხრივ სრულყოფას. უნდა ვაშენოთ მხოლოდ ის ობიექტები, რომლებიც უზრუნველყოფილია [illegible] რესურსებით. თუ [illegible] ფული არა აქვს, [illegible] უარი უნდა ვთქვათ სამუშაოებზე, არ უნდა ვამრავლოთ ზოზინმშენები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიეპყროს დარგის გადასვლას ახალ სატარიფო განაკვეთებსა და სარგოებზე ხელფასის დადგენილი ფონდის ფარგლებში. როგორც ცნობილია, რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროში მშენებელი მუშა, რომელსაც არცთუ ისე დიდი ნამუშევარი აქვს, ყველაზე დიდ გასამრჯელოს იღებს კავშირში. ასეთი მდგომარეობა წარმოშობს სხვისი ხელის შემყურეობას, უარყოფით გავლენას ახდენს შრომის ნაყოფიერების ზრდაზე. ამავე დროს, აღინიშნა გაფართოებულ სხდომაზე, ეს ფაქტორები პრაქტიკულად არ ანალიზდება დარგის შტაბში და მის საწარმოო ქვეგანაყოფებში. უნდა დაკანონდეს, რომ გასამრჯელო უშუალოდ იყოს დამოკიდებული საბოლოო შედეგზე, ესე იგი ობიექტების ამოქმედებაზე, მათ შორის „საგასალებოდაც“.

ხელფასს გამომუშავება უნდა, და არა უბრალოდ მიღება. მაგრამ თუკი მშენებელი თავს გაართმევს დაკისრებულ საქმეს, ეს მას მატერიალურად სრულად უნდა უნაზღაურდებოდეს. აღშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ № 2 ტრესტის № 8 სამშენებლო სამმართველოს მუშებმა ხელმძღვანელთა თავმოუბმელობის გამო ორ თვეზე მეტ ხანს ვერ მიიღეს გამომუშავებული ფული. ეს შემთხვევა ყველაზე პრინციპულ რეაგირებას საჭიროებს.

გამოანგარიშებულია, რომ მუშაობის ახალ პირობებში, რომლებზეც დარგი გაისად გადადის, რენტაბელობა რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროში 16-18 პროცენტს უნდა აღწევდეს, მაშინ როცა სადღეისოდ ეს მაჩვენებელი 5,6 პროცენტს არ აღემატება. სამეურნეო ანგარიში, თვითდაფინანსება — აი მუშაობის ეფექტიანობის ზრდის, დარგის ფინანსური ჯანმრთელობის უზრუნველყოფის ოპტიმალური რეცეპტი. ეკონომიკური რეფორმის კომპლექსური რეალიზაცია დაუყოვნებლივ უნდა ხდებოდეს უკვე დღეს, ამასთან მისი მოდელი უნდა იხვეწებოდეს საწარმოო ქვეგანაყოფებში. და ეს საქმე შიდასაწარმოო სამეურნეო ანგარიშით უნდა დავიწყოთ და გავხადოთ იგი ყველა დონის მუშაკთა ეკონომიკური დაინტერესების მძლავრი ბერკეტი.

აქ დიდმნიშვნელოვანი როლის შესრულება მართებს ეგრეთ წოდებულ საჩეკო სისტემას, რომლის დროს ბრიგადა თავის ხარჯებს დადგენილ ნორმატივებს შეუჯერებს. ყველაფერი, რაც დაიზოგება, მომჭირნედ და ხარისხიანად მომუშავე მშრომელების წახალისების ფონდში გადაირიცხება. ეს მეთოდი სამშენებლო წარმოების რენტაბელობის ზრდის, თვითღირებულების შემცირების ნამდვილი გასაღები უნდა გახდეს. უკვე წლეულს მთელმა რიგმა ტრესტებმა და სამშენებლო კომბინატებმა შიდასაწარმოო სამეურნეო ანგარიშის ფართოდ გავრცელების საფუძველზე საიმედო ბაზა უნდა შეუქმნან ახალი ეკონომიკური მექანიზმის დანერგვას.

სამშენებლო კონვეიერის გარდაქმნის პრობლემები რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე მუშაობის მრავალი მიმართულებით განიხილეს. სხდომის მონაწილეებს პრაქტიკულად არაფერი დავიწყებიათ — არც კადრების სწავლება, არც დარგში სახელმწიფო მიღების შემოღებასთან დაკავშირებული პრობლემები, არც მშენებლობის ახალი პროგრესული სახეობები, მათ შორის — მონოლითური სახლთმშენებლობა. კოლეგიამ მოითხოვა — გარდატეხა უნდა მოხდეს, და რაც შეიძლება მალე. ასეთია დროის მოთხოვნა, ასეთია ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებების პირობები.

• • •

საქართველოს სს რესპუბლიკაში მყოფი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სახმშენის თავმჯდომარე ი. პ. ბატალინი იყო რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს მთელ რიგ საწარმოებში, ეწვია საქართველოს დედაქალაქის ახალმშენებლობებს. შრომითი კოლექტივებთან შეხვედრების, სამშენებლო ქვეგანაყოფების ხელმძღვანელებთან საუბრების დროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა მეურნეობრიობის ახალ პირობებზე უსწრაფესი გადასვლა, ეფექტიანობის ყოველი ღონისძიებით გაზრდა, მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესება.

ი. პ. ბატალინთან ერთად იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მშენებლობის განყოფილების სექტორის გამგე ვ. ა. სიდოროვი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. გლურჯიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. ა. ლაბახუა, რესპუბლიკის მშენებლობის მინისტრი დ. ვ. მანჯგალაძე. (საქინფორმი).

წერილი „პრავდას“

სოფელი დაავიწყდათ

„პრავდამ“ ჯერ კიდევ 1985 წელს გამოაქვეყნა ჩვენი წერილი „მერედა, უწყლოდ...“. დიდი იმედი გვქონდა, რომ ამის შემდეგ მაინც გაუმჯობესდებოდა ჩვენი საყოფაცხოვრებო პირობები. მაგრამ — ამაოდ. გაზეთში გამოქვეყნებული კრიტიკის შემდეგ მალე ჭაბურღილის გაყვანა დაიწყეს სოფლის განაპირას და მთელ თვეს მუშაობდნენ. გაბურღეს — და წავიდნენ. დგას ახლა ქვებით ამოვსებული ჭაბურღილი. თანაც იგი გათვალისწინებულია მარტოოდენ იმისთვის, რომ წყლით უზრუნველყოს საბავშვო ბაღი.

წყალი ჩვენი ერთადერთი პრობლემა არ არის. არა გვაქვს კლუბი, ფოსტა, ბიბლიოთეკა, აბანო, შერეული საქონლის მაღაზია. სამედიცინო პუნქტი მოუხერხებელ ნაგებობაშია. ესეც მივწერეთ რედაქციას, მაგრამ ცვლილებები არ ჩანს. ეტყობა, ყვარლის რაისაბჭოს აღმასკომში დაავიწყდათ სოფელი თივი.

ა. მაგომედოვი, ზ. ვაგაბოვი, მ. ისაევი, ა. არაბოვი, ჩ. ბარკალაევი, ა. ალხაზოვი,
სოფელი თივი.
საქართველოს სსრ.

ПРАВДА
1988 წ. 15.I.

წერილი „კომუნისტს“

ასეთი „პრინციპულობა“?

მინდა გაგიზიაროთ ერთი ჩემი არცთუ ისე სასიამოვნო მოსასმენი აზრი. საქმე ის არის, რომ ამ ბოლო წლებში ზოგჯერ დანაშაული და სასჯელი თითქოს ერთმანეთს აღარ შეეფარდება. პარტიის პლენუმებზე, კონფერენციებზე, სხვადასხვა დონის შეკრებაზე მოურიდებლად ამხელენ ხოლმე ხელმძღვანელ ამხანაგებს წამატებების, სხვადასხვა ჯურის გადაცდომების გამო. შედეგად რა მოსდევს ასეთ „პრინციპულობას“? გაიხედავ და ისევ მშვენივრად ზის თავის სავარძელში კრიტიკის ქარცეცხლში გატარებული კაცი... არადა, ოცდახუთი წლის წინათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საქართველოს სსრ კოდექსში შეტანილია სათანადო მუხლი, რომელიც ზემოხსენებული მოქმედებისთვის სისხლის სამართლის სასჯელს იმსახურებს. ალბათ უიშვიათესი გამონაკლისის გარდა ამ მუხლით ადამიანი არც დაუსჯიათ. ყოვლისმიმტევებლობა კი საქმეს არ წასდგომია არასდროს.

ანდა ისეთი შემთხვევები ავიღოთ, მწვავედ რომ ამხელთ ხოლმე პრესაში ან ტელევიზია-რადიოთი ათასგვარ უწესრიგობას. ამას შედეგი ხომ უნდა მოჰყვეს? თუ კრიტიკის შემდეგ არაფერი შეიცვლება, ასეთი კრიტიკა ვის რად უნდა? გარდაქმნა უპირველესად სიტყვის და საქმის ერთიანობას გულისხმობს და აი ამას უნდა მივადევნოთ თვალყური უპირველესად, პასუხი ვაგებინოთ იმათ, ვინც მითითება, კრიტიკა ყურად არ იღო, ძველებურად ცხოვრობს და მუშაობს.

ნ. ჭელიძე,
პარტიის ვეტერანი.
თბილისი.

ფიქრები იმის შესახებ, თუ რამ დასცა ჩაის ხარისხი, როგორ ვუშველოთ პლანტაციებს, როგორ აღვუდგინოთ ქართულ ჩაის ძველი ღირსება და სახელი.

1.

გარკვეული მეცადინეობის მიუხედავად, გადაუწყვეტელი დარჩა ჩაის ხარისხის გაუმჯობესების ამოცანა, ითქვა პარტიის XXVII ყრილობაზე...

მან მწვანე მასა ფოთლების სახით, არაორგანულ ნივთიერებებსაც ველარ გარდაქმნიან ორგანულად. ამის შესაბამისად იქიდან მიღებული ნედლეული, როგორც წესი, ყოველთვის ცოტაა და თანაც უხარისხო...

ბით და რაოდენობის პრობლემაც ამ გზით უმტკივნეულოდ გადაიჭრება.

რაც შეეხება თვით ჩაის მზა პროდუქციის ხარისხის პრობლემას, იგი დღევანდელი მეცნიერულ-ტექნიკური შესაძლებლობების...

ქართული ჩაი — ჩვენი სიამაყე, ჩვენი სატკივარი

2.

3.

4.

5.

...საც ამბობენ, ამ სიტყვებს ხშირად იყენებდა ხოლმე კარლ მარქსი, როცა ანალიზს უკეთებდა მატერიალურ ფასეულობათა წარმოქმნის წყაროებს. აგრონომიული სკოლის ერთ-ერთმა დამაარსებელმა ი. კომოვმა ნიადაგმცოდნეობა ციური ფიზიკის დარგადაც კი გამოაცხადა. მიწა, დღევანდელი მეცნიერული შეფასებით, ერთ-ერთ უდიდეს საწარმოო საშუალებად არის გამოცხადებული. მიწაა ჩვენი მარჩენალიო, ამბობს დიდი და პატარა. და ეს მართლაც ასეა.

თუ მიწა ჩვენს მარჩენალ დედად ვაღიარეთ, მას, რა თქმა უნდა, დიდი მოვლა-პატრონობა და ზრუნვა სჭირდება. იმასაც ამბობენ, უმტრო არავინ და არაფერია ამ ქვეყნადო. მიწასაც, პირველ ყოვლისა, ორი დიდი მტერი ჯერ კიდევ შორეულ წარსულში გაუჩნდა: ერთი წყლისმიერი, ხო-...

...თვითნებობას და აშკარა დანაშაულებრივ მოქმედებას?

ჩვენი ღრმა რწმენით, თუ გულით გვინდა, რომ ქართულ ჩაის თავისი წარსული ნამდვილი დიდება არა მარტო დავუბრუნოთ, არამედ კიდევ მაღლა ავწიოთ, ყოველ მიზეზს გარეშე საჭიროა, რომ უპირველესად დაუყოვნებლივ აღვუდგინოთ მას ფოთლის შერჩევითი კრეფის მეთოდი, მკაცრად დავიცვათ იგი და წარმოებიდან ერთხელ და სამუდამოდ განვდევნოთ ყველა მანქანა თუ აპარატი, რომლებიც ჭრის პრინციპით მუშაობენ.

განა ყოველივე ამაზე ფართო მსჯელობა და კონკრეტულად ზრუნვა არ ღირს? მე მგონია, ღირს!

შ. კერესელიძე,
პროფესორი, სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური პრემიის ლაურეატი.

რედაქციის მინაწერი: მართლაც რომ ღირს! რაკი წერილის ავტორიც ამასვე მოითხოვს, საპაექროდ ვიწვევთ ჩვენს მეჩაიეებს, მექანიზატორებს, მეცნიერ-მუშაკებს, საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებს, პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკებს, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს, ყველას, ვისთვისაც ძვირფასია რესპუბლიკის ღირსება, მისი ეკონომიკური სიძლიერე, რომელზედაც დაფუძნებულია ჩვენი ხალხის კეთილდღეობა, ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი განვითარება. ვთხოვთ მათ თავიანთი გულწრფელი მოსაზრებანი წერილობით გაგვიზიარონ იმის შესახებ, თუ როგორ გადავარჩინოთ ჩაის პლანტაციები, როგორ აღვუდგინოთ ქართულ ჩაის ძველი სახელი.

...და განა ამას არ მოითხოვს ყოველი ჩვენგანისაგან ჩაის პლანტაციების დაჩქარებული აღდგენისა და ჩაის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება?

მაშ მოდით, სიტყვითა და საქმით ერთად ვუშველოთ ქართულ ჩაის.

პარტიული ცხოვრება

ვიმყოფებით რა ადგილებზე, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში, ვხედავთ, როგორ თანდათანობით იცვლება მუშაობის სტილი, მკვიდრდება ახლებური მიდგომა, იდგამს ფეხს საჯაროობა და დემოკრატიზმი. მაგრამ ყოველმხრივ და ყოვლისმომცველ გარდაქმნაზე ჯერ ნაადრევია ლაპარაკი. კვლავაც დიდია ძველი ინერციის ძალა.

მთავარია ამჟამად, თვლიან პარტიული კომიტეტები, დავამკვიდროთ მებრძოლი სულისკვეთება, თვითკრიტიკული მიდგომა გაწეული მუშაობისადმი. პარტიის XXVII ყრილობამ, მისმა შემდგომმა პლენუმებმა შექმნა ასეთი გაწყობა. კომუნისტები ალაპარაკდნენ გაბედულად, გულღიად, გახდნენ მომთხოვნი საკუთარი თავისა და სხვებისადმი. სხვაგვარად მოითხოვენ აგრეთვე რაიკომის ხელმძღვანელებს, პირველადი პარტიული ორგანიზაციებისაგან.

ასე წარმართავს მუშაობას პარტიის თეთრი წყაროს რაიკომიც. მის პრაქტიკაში დამკვიდრდა ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების ანგარიშების მოსმენა რაიკომის პლენუმზე, ბიუროს სხდომებზე, უშუალოდ კოლექტივებში, ამან მკვეთრად გაზარდა მათი პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, ხელი შეუწყო მათ წრთობას, ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მომწიფებას.

— პარტიული ამხანაგების სიტყვა, მათი კოლექტიური აზრი, — თქვა პარტიის თეთრი წყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა თენგიზ პატიაშვილმა — ყოველთვის სასიკეთო გავლენას ახდენს კომუნისტის ჩამოყალიბებაზე, ეხმარება მას სწორი კურსი აიღოს მუშაობაში, დროულად დაძლიოს თავისი ნაკლოვანებები, აფრთხილებს — არ გადადგას მოუფიქრებელი ნაბიჯი. კომუნისტების ანგარიშების მოსმენა ხელს უწყობს უკლებლივ პარტიის ყველა წევრის პასუხისმგებლობის გაძლიერებას კოლექტივის წინაშე. ზოგიერთი ამხანაგი, ეს განსაკუთრებით ეხებათ ხელმძღვანელებს, ავადმყოფურად განიცდის მისი მისამართით გამოთქმულ კრიტიკას. ყოფილა შემთხვევა, რომ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში ხელმძღვანელთა ანგარიშების მოსმენისას კომუნისტებს ვერ გაუბედავთ პრინციპული შეფასება მიეცათ თავიანთი ხელმძღვანელის საქმიანობისათვის. ყურადღება მივაქციეთ იმასაც, რომ მოსმენილი ანგარიშებიდან მხოლოდ ზოგიერთში გამოჩნდა მუშაკის ნაკლოვანი მხარეები. სტატისტიკამ გამოგვაფხიზლა. აშკარა იყო — იგი არ შეესაბამებოდა რაიონის სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში საქმის ჭეშმარიტ მდგომარეობას. რაიკომმა დეტალურად შეისწავლა ანგარიშების მოსმენის პრაქტიკა და იმ დასკვნამდე მივედით, რომ ამ მნიშვნელოვან საქმეს ფორმალიზმი მოერიოდა. დავსახეთ კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია კომუნისტების ანგარიშების მოსმენა დიდი აქტიურობის, დაინტერესებისა და ობიექტურობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის, ურთიერთმომთხოვნელობისა და, ამავე დროს, კეთილმოსურნეობის, ადამიანებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულების ვითარებაში.

რაიკომი ითვალისწინებს, რომ თვით ყველაზე კარგი გადაწყვეტილებაც კი შეიძლება ფარატინა ქაღალდად, კეთილ სურვილად დარჩეს, თუ მას შესაბამისი ორგანიზატორული მუშაობით არ განამტკიცებენ. ამიტომ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებზე მიამაგრეს რაიკომის მდივნები, ბიუროს წევრები, პარტიის მუშაკები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან კრებებზე მოსმენილი ანგარიშების ხარისხისა და ობიექტურობისათვის. პარტიის რაიკომში მოეწყო სპეციალური მეთოდიკური სემინარები, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში შეიქმნა სამუშაო ჯგუფები, რომლებიც კოორდინაციას უწევენ ამ მუშაობას.

რაიკომმა კომუნისტთა ანგარიშების მოსმენის საკითხი არაერთხელ განიხილა ბიუროს სხდომაზე, პლენუმებზე. განსაკუთრებით ცხარე კამათი გაიმართა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში კომუნისტ ხელმძღვანელთა ანგარიშების მოსმენაში არსე-

მებრძოლი სულისკვეთება

ისმენენ კომუნისტის ანგარიშს ◆ ამტკიცებენ დახასიათებას

ბულ ნაკლოვანებათა შესახებ. მთელი პირდაპირობით ითქვა, რომ ანგარიშების მოსმენისას, განსაკუთრებით კი კომუნისტთა დახასიათებების დამტკიცებისას, ხშირად ჩნდება უპრინციპობა და ფორმალიზმი. და თუ ნაკლოვანებებს აღნიშნავენ, ისიც მხოლოდ საწარმოო მაჩვენებლებს შეეხება. ყურადღებას არ ამახვილებენ პირად უარყოფით თვისებებზე. რაიკომმა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს მკაცრად მოსთხოვა აღმოფხვრან არაობიექტურობა ამ საქმეში. აღნიშნულ გადაწყვეტილებათა შესრულებას იმთავითვე მკაცრი კონტროლი დაუწესდა. აქედან ცხადია: პირველადი პარტიული ორგანიზაციები კომუნისტთა საქმიანობას ახლა უფრო პრინციპულად და ობიექტურად აფასებენ. აი ერთი ფაქტი.

შეშფოთებას იწვევდა მარაბდის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის მ. იგითოვის უნიათო მუშაობა, რამაც უდიდესი ზიანი მიაყენა მეურნეობის ეკონომიკას. კომუნისტებმა მოითხოვეს იგი ანგარიშით წარმდგარიყო კოლექტივის წინაშე. მანამდე ისინი ღრმად ჩასწვდნენ მეურნეობის ეკონომიკას, ცალკეული ქვედანაყოფების, სპეციალისტების მუშაობას, დირექტორის სუსტ მხარეებს. ამის შემდეგ გაიმართა პარტიული კრება, რომელზეც კომუნისტებმა ყოველივე პირუთვნელად თქვეს. კერძოდ, მიუთითეს, რომ დირექტორი საკითხებს წყვეტდა ერთპიროვნულად, არად აგდებდა კოლექტივის აზრს, ვერ ამჩნევდა ნაკლოვანებებს მუშაობაში, არ ზრუნავდა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა შრომის და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე და ა. შ. ამ და სხვა ნაკლოვანებათა გამო კომუნისტ მ. იგითოვს უარყოფითი დახასიათება მიეცა, გამოეცხადა სასტიკი საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით და განთავისუფლდა თანამდებობიდან. კომუნისტთა ნებით შეირჩა მეურნეობის ახალი დირექტორი, რომელიც საქმის ცოდნით ხელმძღვანელობს მეურნეობას და ეკონომიკური მდგომარეობაც უმჯობესდება.

მოყვანილი მაგალითი იმას არ ნიშნავს, რომ ამ საქმეში ყველაფერი უკვე მოგვარებულია და ყველა ორგანიზაციაში უკვე საბოლოოდ დამკვიდრდა ასეთი პრინციპულობისა და მომთხოვნელობის ატმოსფერო. ასე ადვილი აღმოსაფხვრელი რომ იყოს ნაკლი მუშაობაში....

ჯერ კიდევ ხშირად ვხვდებით ძველებურად მუშაობის ფაქტებს, როდესაც კომუნისტებს არას[illegible] გზით არ სურთ იყვნენ პირუთვნელნი საერთო საქმის გამო, ის კი არა, დანაშაულსაც კი ჩქმალავენ ხოლმე. ასე იყო, მაგალითად, ჯორჯიაშვილის ტერიტორიულ პარტიულ ორგანიზაციაში, როდესაც სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელ ზ. ჯაშიაშვილს სასტიკი საყვედური აკმარეს სააღრიცხვო ბარათში შეტანით, მაშინ, როცა მას ჩადენილი ჰქონდა მძიმე დანაშაული: 2200 მანეთის მითვისება. რაიკომმა შეცვალა პირველადის გადაწყვეტილება — ზ. ჯაშიაშვილი გარიცხა სკკპ რიგებიდან, მკაცრად დაისაჯა პარტიული ორგანიზაციის მდივანიც. პარტიის რაიკომს დიდმნიშვნელოვნად მიაჩნია ის, რომ კომუნისტთა ანგარიშების მოსმენის დროს ითვალისწინებდნენ, თუ როგორ არის უზრუნველყოფილი სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულება, და ეს დადებით შედეგს იძლევა. მაგალითად, პარტიის რაიკომის ბიუროზე ირაგის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის ნ. ტოპუზიძის ანგარიშის მოსმენისას მართვის ეკონომიკური მეთოდების სრულყოფისათვის გაწეული მუშაობის შესახებ, აღინიშნა, რომ დირექცია არ იჩენს სათანადო მიზანმიმართულებას ძირითადი დარგის — მეცხოველეობის განვითარებისათვის, რის გამო შემცირდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა, საგეგმოსთან შედარებით მკვეთრად გაიზარდა პროდუქციის თვითღირებულება. მეურნეობაში სათანადო დასკვნები არ გამოჰქონდათ შექმნილი მდგომარეობიდან, არ სახავდნენ კონკრეტულ გზებს ნეგატიურ მოვლენათა აღმოსაფხვრელად. რაიკომის ბიურომ მეურნეობის დირექციას და პარტბიუროს დაავალა გარდაქმნან მუშაობა, ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება, გაზარდონ კომუნისტთა პასუხისმგებლობა თავიანთ უბნებზე, დარაზმონ ისინი უყაირათობის, შრომის დისციპლინის დარღვევის ფაქტებისა და სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ საბრძოლველად. შემდეგში პარტიის რაიკომმა შეამოწმა მიღებული დადგენილების შესრულება, აღინიშნა დადებითი ძვრები, იგრძნობა გარდაქმნა, შემობრუნება უკეთესობისაკენ. ირაგის საბჭოთა მეურნეობის პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელთა მუშაობა კვლავაც რაიკომის ყურადღების ცენტრშია.

კომუნისტ ხელმძღვანელთა ანგარიშების მოსმენისას ყურადღება ექცევა მათი საქმიანობის ისეთ მხარეს, როგორიც არის წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მუშაობის ახალი პროგრესული ფორმებისა და მეთოდების დანერგვა. მაგალითად, პარტიის რაიკომის ბიუროზე რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის აზნორ მესხიშვილის ანგარიშის მოსმენისას ბევრი საყურადღებო საკითხი წამოიჭრა, რაც მიღებულ დადგენილებაში აისახა. აღნიშნულის შემდეგ რაიონის სოფლის მეურნეობაში ბევრ სიახლეს დაედო საფუძველი. მაგალითად, დაისახა ღონისძიება მიწების რაციონალური გამოყენებისათვის. ერთ წელიწადში რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა აითვისეს ხუთას ჰექტარამდე ყამირი, ლაშქრობა მიწების ათვისებისათვის წარმატებით გრძელდება. ორ-სამ წელიწადში 1.600 ჰექტარი ყამირი ჩადგება მოსავლის სამსახურში. რაიონის ეკონომიკურ აღმავლობას ითვალისწინებს სრულიად ახალი დარგის — მეთევზეობის განვითარება. აღორძინების გზას ადგას ერთ დროს მივიწყებული დარგები — მეფუტკრეობა და მეაბრეშუმეობა. მოკლე ხანში საზოგადოებრივ სექტორში 700-მდე გაზარდეს ფუტკრის ოჯახების რაოდენობა. 1987 წელს უკვე აწარმოეს 500 კილოგრამი აბრეშუმის პარკი, შემდგომში კი იგი ტონობით განისაზღვრება. მემცენარეობაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა კულტურების განაწილებას ზონების მიხედვით. მაგალითად, კარტოფილი და ბოსტნეული ურწყავი ფართობებიდან სარწყავ ზონაში გადაიტანეს. მაღალმთიან ზონაში ვითარდება მეცხოველეობა და საკვები კულტურები, დაბალ ზონაში მეტი ფართობი ეთმობა მეხილეობას, მევენახეობას, მებაღჩეობას, დაინერგა აგრეთვე მცენარეთა უხვმოსავლიანი ჯიშები და ჰიბრიდები. უმჯობესდება პირუტყვის ჯიშიანობა, ინერგება ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია, ფართოდ გავრცელდა კოლექტიური და საოჯახო იჯარა, რომელმაც ყველა მეურნეობა მოიცვა. აღნიშნულის მეოხებით რაიონში სწრაფად იზრდება მეცხოველეობისა და მიწათმოქმედების კულტურების წარმოება, მცირდება პროდუქციის თვითღირებულება. თუ რაიონის სოფლის მეურნეობა მეთერთმეტე ხუთწლედის ყველა წელს ზარალით ამთავრებდა, ახლა, მეთორმეტე ხუთწლედში ყოველ წელს რამდენიმე მილიონი მანეთი მოგებით ამთავრებს.

პარტიის რაიკომის ბიუროზე, პლენუმზე, პარტკომების, პარტბიუროს სხდომებზე ანგარიშების მოსმენა პარტიულ ორგანოებს საშუალებას აძლევს უფრო ღრმად და თვითკრიტიკულად გაანალიზონ მიღწეული, დასახონ მომავლის გზები. ერთდროულად ეს კომუნისტთა აღზრდისა და ხასიათის ჩამოყალიბების ქმედითი ფორმაც არის. ასეთი პრაქტიკის მთავარი მიზანია კარგი მუშაკების წახალისება და მხარდაჭერა, პასიურების გააქტიურება და მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმა. იმისათვის, რომ უფრო შედეგიანი იყოს ეს საქმიანობა, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ — კვლავ უბრუნდებიან ამა თუ იმ მუშაკს, უსმენენ, თუ როგორ გამოაკეთა საქმე, როგორ გაითვალისწინა მეგობრების რჩევა. ეს ადამიანებს უფრო დისციპლინიანს ხდის, უძლიერებს პასუხისმგებლობას დაკისრებული საქმისათვის.

ანგარიშების მოსმენის პრაქტიკა მოიცავს მრავალ საკითხს, მრავალ მხარეს. მაგალითად, პარტიის რაიკომის ბიურომ მოისმინა ასურეთის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეობის განყოფილების საბრიგადო პარტიული ორგანიზაციის მდივნის დ. ბერაძის ანგარიში კომუნისტთა უფრო გააქტიურების მიზნით გაწეული მუშაობის შესახებ, წინწყაროს საბჭოთა მეურნეობის პარტკომის მდივანი გ. საკალიძე რაიკომის ბიუროზე ანგარიშით წარდგა კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გარდაქმნისათვის გაწეული მუშაობის შესახებ; რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის ლ. ნადირაძისა და საფინანსო განყოფილების გამგის ნ. მეტრეველის ანგარიშები შეეხებოდა უშრომელი შემოსავლების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის გაწეულ მუშაობას. ამჟამად პარტიის რაიკომის ბიურო, პირველადი ორგანიზაციები ისმენენ კომუნისტი ხელმძღვანელების ანგარიშებს, თუ როგორ ხორციელდება სკკპ XXVII ყრილობის მიერ შემუშავებული გარდაქმნისა და დაჩქარების სტრატეგია, როგორ ვითარდება რაიონის სახალხო მეურნეობა და სოციალური სფერო, როგორია კომუნისტთა პირადი წვლილი გარდაქმნაში.

თეთრი წყაროს რაიონის კომუნისტები მთელ ძალისხმევას ახმარენ პარტიის პოლიტიკის განხორციელებას, მეთორმეტე ხუთწლედის გეგმების რეალიზაციას. ყველაფერი კეთდება საიმისოდ, რომ საქმიანობა საპროგრამო და საწესდებო მოთხოვნათა დონეზე იყოს.

დ. ბიწაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

შემომაქვს წინადადება!

მოსაზრებები, რომლებიც გამოითქვა პარტიულ კრებებზე და პარტიული კომიტეტების პლენუმებზე

დემოკრატიზაციის გაღრმავებისა და საჯაროობის გაფართოების პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ პარტორგანიზაციების მუშაობის დადებითი გამოცდილების განზოგადებას. სამწუხაროდ, რესპუბლიკაში ეს ჯეროვნად არ კეთდება. ამიტომ ბევრმა პარტიულმა ორგანიზაციამ საერთოდ არ იცის, როგორ ებრძოლოს ისეთ ფაქტებს, როცა საწარმოს ადმინისტრაცია ხელმძღვანელობის თვითნებურ მეთოდებს მიმართავს, შრომითი კოლექტივების საწარმოო-სამეურნეო და სოციალურ-პოლიტიკური საქმიანობის ყველა ძირითადი საკითხი ვიწრო წრეში წყდება.

ნ. შპაკი — თბილისის მაკარონის ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი.

ამ ბოლო ხანს გახშირდა პარტიული კრებების მოწყობა ზემოდან რეკომენდებულ საკითხებზე, რაც რამდენადმე ზღუდავს პარტორგანიზაციების ინიციატივას განსახილველად საკუთარი მომწიფებული საკითხების შერჩევაში.

ვ. ჯაპარიძე — „საქსამთოქიმმრეწვის" პარტბიუროს მდივანი.

პარტიაში მიღების საკითხი მოძველებული მეთოდებით და ფორმებით წყდება, ჯერაც არ აღმოფხვრილა საკონტროლო ციფრების გაცემის პრაქტიკა. ამის დასაძლევად საჭიროა სრულიად კონკრეტული რეკომენდაციები, თუ როგორ გავუწიოთ რეგულირება პარტიული რიგების თვისებრივ შემადგენლობას, როგორ ავიცილოთ თავიდან ესა თუ ის გადახრები.

რ. სანიკიძე — თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტკომის მდივანი.

პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების ბიუროზე გასატანი საკითხების განსახილველ წინასწარ თათბირებზე, აგრეთვე თვით სხდომებზე, უნდა მივიწვიოთ ხოლმე არა მარტო ხელმძღვანელი მუშაკები, არამედ კოლექტივების წარმომადგენლებიც, რათა რიგითი კომუნისტების აზრი უკეთ გავითვალისწინოთ გადაწყვეტილებათა შემუშავებისას და მიღებისას.

თ. ცოცაძე — თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის პროფკომის თავმჯდომარე.

პარტიულ კრებებზე და ბიუროთა სხდომებზე სისტემატურად უნდა მოვისმინოთ კომუნისტი ხელმძღვანელების ანგარიშები იმის თაობაზე, თუ როგორ მიმდინარეობს გარდაქმნა მათი მუშაობის უბანზე.

ს. ბაზაშვილი — ქარხანა „მიკროძრავის" მუშა.

რევოლუციის რაინდები

საშა გეგეჭკორის დაბადების 100 წლისთავი

„მე ურყევი კომუნისტი ვარ..."

წერილის სათაურში გამოტანილი ეს სიტყვები მგზნებარე რევოლუციონერსა და მტკიცე პარტიელს საშა გეგეჭკორს ეკუთვნის.

პირველი სახალხო რევოლუციის ისტორიული გამოცდილების საფუძველზე ვ. ი. ლენინი წერდა: მებრძოლი რაზმების პარტიზანული მოქმედება უშუალოდ ამზადებს მასების მებრძოლ ხელმძღვანელებსო. ამ ჭეშმარიტების კიდევ ერთი დასტურია ცხოვრება და მოღვაწეობა ადამიანისა, რომლის დაბადების 100 წლისთავს სიამაყით აღნიშნავს მადლიერი ერი და რომლის საქმე და სახელი დავიწყებით არასოდეს დაიბინდება.

საშა გეგეჭკორი დაიბადა 1887 წლის 23 ნოემბერს ქუთაისის გუბერნიის სენაკის მაზრის სოფელ ნაოდალევში აზნაურის ოჯახში. მან, ჯერ სრულიად ყმაწვილმა, გამოიჩინა დიდი მოქალაქეობრივი გაბედულება, როდესაც კავშირი გაწყვიტა საკუთარ კლასობრივ გარემოსთან და მტკიცედ დადგა მუშებისა და ღარიბი გლეხობის მხარეს. საშამ პირველი რევოლუციური ნათლობა მიიღო ბათუმში მუშათა მოძრაობაში აქტიური მონაწილეობით. პოლიციამ იგი მალე „აღრიცხვაზე" აიყვანა და იძულებული გახდა ბაქოში გახიზნულიყო. აქ მან რკინიგზაზე მტვირთავად დაიწყო მუშაობა. 1903 წელს მუშებსა და პოლიციას შორის მომხდარი შეტაკებისას საშა მძიმედ დაიჭრა. გამოჯანმრთელების შემდეგ მან ცოვიანოვის ქარხანაში ჩამოაყალიბა მუშათა რევოლუციური ჯგუფი, რომელიც პოლიციამ დაარბია. ამის მერე საშა თბილისში დაბრუნდა და ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს დაუკავშირდა.

იგი განსაკუთრებით აქტიურობდა რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში, მონაწილეობდა „წითელი რაზმების" საბრძოლო ოპერაციებში, პოლიციისა და ჯარის ნაწილებთან შეტაკებაში, პოლიციის უბნებსა და ჯარის ნაწილების განიარაღებაში და ა. შ.

რევოლუციის უკანდახევისა და რეაქციის პერიოდში საშამ, როგორც თბილისის ორგანიზაციის ერთ-ერთმა თვალსაჩინო წევრმა, იკისრა მოქმედი „წითელი რაზმის" ხელმძღვანელობა. იგი მამაცურად ესხმოდა თავს დამსჯელ რაზმებს და იცავდა რევოლუციურ ორგანიზაციებს. საშა 1907 წლიდან პარტიის წევრია. მომდევნო წელს იგი დააპატიმრეს და ჩელიაბინსკში გადაასახლეს, მაგრამ მალე გამოიქცა. თბილისის პარტიულმა ორგანიზაციამ იგი სამეგრელოში გაგზავნა რევოლუციური მუშაობის ხელმძღვანელობისათვის. 1910 წელს საშა კვლავ დააპატიმრეს და დონის როსტოვში გადაასახლეს. აქ ალიოშა ჯაფარიძესთან, მიხეილ ჩოდრიშვილთან და სხვა პოლიტიკურ გადასახლებულებთან ერთად ჩაება პარტიულ მუშაობაში. 1913 წელს საშა გადაასახლეს პოლტავაში, სადაც იგი პარტიული კომიტეტის შემადგენლობაში აირჩიეს. საპატიმროში გატარებული წელიწად-ნახევრის შემდეგ გადაასახლეს ასტრახანის გუბერნიაში, სადაც მოუსწრო კიდეც თებერვლის რევოლუციამ...

სამშობლოში დაბრუნებული ს. გეგეჭკორის რევოლუციური მოღვაწეობა განსაკუთრებული ძალითა და ენერგიით გაიშალა დასავლეთ ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების კონფერენციის (1918 წლის 20-23 თებერვალი, ქუთაისი) შემდეგ. იგი აქტიურად მონაწილეობდა ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ, თერგის ოლქში რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლებში, თავისი რაზმით იცავდა ქალაქ კავკავს. მალე თერგის ოლქის სახკომსაბჭოს დადგენილებით და საგანგებო კომისრის ს. ორჯონიკიძის განკარგულებით ს. გეგეჭკორი დაინიშნა ოლქში რევოლუციური წესრიგის დაცვის კომისრად. შეუპოვარი ბრძოლები გრძელდებოდა გროზნის, არხონკის, პიატიგორსკისა და სხვათა განთავისუფლებისათვის. ამ ბრძოლებში საშამ გამოიჩინა განსაკუთრებული პირადი გმირობა, სიმამაცე და გამბედაობა. აქ იგი მძიმედ დაიჭრა, რასაც ფეხის ამპუტაცია მოჰყვა.

1919 წლის ზაფხულში საშა არალეგალურად ჩამოვიდა თბილისში. მალე მან კავშირი დაამყარა ბოლშევიკურ ორგანიზაციებთან, მაგრამ მენშევიკურმა მთავრობამ იგი იმავე წლის 6 ოქტომბერს დააპატიმრა. საბჭოთა რუსეთთან 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების საფუძველზე განთავისუფლებული საშა პარტიის დავალებით ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდა, სადაც უკვე აღდგენილი იყო საბჭოთა ხელისუფლება. იგი აქ დაინიშნა კავკასიის რევოლუციური კომიტეტის თავჯდომარედ. მისი დიდი დამსახურება ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ღირსეულად დაფასდა, იგი წითელი დროშის ორდენით დააჯილდოეს...

საშა გეგეჭკორი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე აქტიურად ჩაება სოციალიზმის მშვიდობიან მშენებლობაში, სათავეში ჩაუდგა თბილისის რევკომის მუშაობას და ბევრი რამ გააკეთა ქალაქში შრომისა და ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნისათვის. მალე იგი აირჩიეს რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში, დანიშნეს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავჯდომარის მოადგილედ.

აღსანიშნავია საშა გეგეჭკორის აქტიური მოღვაწეობა რესპუბლიკის სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გაჯანსაღებისა და განმტკიცებისათვის. იგი ებრძოდა ქართველ მოღვაწეთა იმ ჯგუფს, რომელიც ამიერკავკასიის ხალხთა ფედერაციული გაერთიანებისას მხოლოდ ვიწრო ეროვნული ინტერესებით ხელმძღვანელობდა და უგულებელყოფდა საკითხისადმი პროლეტარულ-ინტერნაციონალურ მიდგომას. იგი აქტიურად იბრძოდა ანტისაბჭოთა პარტიების, ოპოზიციური გადახრებისა და დაჯგუფებების წინააღმდეგ, კომუნისტური პარტიის ლენინური მთლიანობისათვის.

1924 წლის აგვისტოს მენშევიკური გამოსვლების შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თხოვნით პარტიის ვეტერანებმა, პარტიულმა და სახელმწიფო მოღვაწეებმა, მათ შორის საშა გეგეჭკორმაც თავიანთი აზრი გამოთქვეს ამ ფაქტის გამო. ს. გეგეჭკორმა თავის მოხსენებაში მოითხოვა ისეთი გონივრული საკითხების მოგვარება, როგორიც იყო: ძირეული პარტიული და საბჭოთა აპარატის განმტკიცება, სოფლად კოოპერაციული მოძრაობის განმტკიცება, გლეხთა კომიტეტებისადმი ხელმძღვანელობის გაძლიერება, სოფლის ინტელიგენციის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, ტყეებითა და საძოვრებით სარგებლობის მოგვარება, ადგილობრივი გადასახადების თვითნებურად შემოღების აკრძალვა, ანტირელიგიურ მუშაობაში ადმინისტრირების მეთოდების აკრძალვა, საბჭოთა მშენებლობაში გლეხთა უპარტიო მასების ჩაბმა და სხვა.

1924 წლის ბოლოს ს. გეგეჭკორი დაინიშნა საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრად. მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით შედგა სოფლის მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმა. იგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა, 1925 წლის აპრილში გამართულმა საქართველოს საბჭოების III ყრილობამ კი დაამტკიცა.

საშა გეგეჭკორის გაუტეხელი ნება, მისი პრინციპულობა ვერა და ვერ ეგუებოდა მავანთა წვრილბურჟუაზიულ ჩვევებს, რასაც ბევრჯერ კონფლიქტური სიტუაციაც კი მოჰყოლია. ეს მძიმედ მოქმედებდა საშას შერყეულ ჯანმრთელობაზე. ამასთან დიდმა სახელმწიფოებრივმა, პოლიტიკურმა და სამეურნეო საქმიანობამ, რასაც თან ერთვოდა ფეხის ამპუტაციასთან დაკავშირებული მძიმე ტკივილები, გატეხა მებრძოლი რევოლუციონერის რკინისებური ნებისყოფა — მან 1928 წლის 7 ივნისს ორმოცი წლისამ ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე.

ი. კაჭარავა,
პროფესორი.

უცხოეთში

საქდესი იუწყება
15 იანვარი

◆ სსრ კავშირი-აშშ

თანამშრომლობის პერსპექტივები

ნიუ-იორკი. საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელსაყრელი ეკონომიკური ურთიერთობის ინტენსიური განვითარება შეესაბამება ორი დიდი სახელმწიფოს ინტერესებს და შეუძლია მნიშვნელოვანწილად ხელი შეუწყოს საერთო პოლიტიკური კლიმატის გაუმჯობესებას. ასეთი აზრისაა ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი დიდი ფინანსური კორპორაციის „დრექსლერ, ბერნემ, ლამბერტის" გამგეობის ვიცე-თავმჯდომარე ჰეიმს ბელოგი.

აქ გამართულ პრესკონფერენციაზე გამოსვლისას მან ჟურნალისტთა ყურადღება მიაპყრო სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთხელსაყრელი სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების ამჟამად არსებულ უდიდეს პოტენციალს. ამერიკის საქმიან წრეებს მიაჩნიათ, რომ საბჭოთა კავშირი საიმედო საქმიანი პარტნიორია, მას აქვს უზარმაზარი ეკონომიკური შესაძლებლობანი და ბუნებრივი რესურსები, მნიშვნელოვანი მიღწევები მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, რომლებმაც პრაქტიკული გამოყენება პოვეს წარმოებაში და მსოფლიო აღიარება დაიმსახურეს, აღნიშნა ბელოგმა.

სპარსეთის ყურე:

იტალიას გაჰყავს ხომალდები

რომი. სპარსეთის ყურის რაიონში სიტუაციის განვითარება „შესაძლებელს ხდის, რომ სამშობლოში დაბრუნდეს მხარდამჭერის ერთი ხომალდი და ერთი ნაღმსაჭერი რეგიონში განლაგებული იტალიის სამხედრო-საზღვაო ძალების შემადგენლობიდან" — ეს განაცხადა იტალიის თავდაცვის მინისტრმა ვ. ძანონემ პარლამენტის დეპუტატთა პალატაში სპარსეთის ყურეში იტალიის სამხედრო-საზღვაო ძალების ყოფნის, დაფინანსების შესახებ მთავრობის დეკრეტის განხილვის დროს.

ამავე დროს, წერს გაზეთი „უნიტა", ვ. ძანონე იძულებული იყო ეღიარებინა, რომ ჯერჯერობით „ვერ განვჭვრეტთ მოვლენების მომავალ განვითარებას, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემდა სპარსეთის ყურიდან გამოგვეყვანა იქ არსებული იტალიის ფრეგატებიდან კიდევ ერთი ხომალდი".

მაგრამ კვლავ ფაქტად რჩება, რომ გასულ შემოდგომაზე მიღებულმა მთავრობის გადაწყვეტილებამ სპარსეთის ყურეში იტალიის სამხედრო-საზღვაო ძალების შეყვანის შესახებ, დიდი პროტესტი გამოიწვია აპენინის ნახევარკუნძულზე. არა მარტო ოპოზიციურმა პარტიებმა, მმართველი კოალიციის ზოგიერთმა წარმომადგენელმაც კი გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ იტალია შეერთებოდა პენტაგონის სამხედრო ავანტიურას.

● აშშ

ეცემა აქციების კურსი

ნიუ-იორკი. კვლავ ციებ-ცხელებაა უოლ-სტრიტზე, რომელიც ვერაფრით ვერ აზერხებს გონს მოეგოს პარასკევს მომხდარი ბირჟის ისტორიაში სიდიდით მესამე აქციების დაცემის კურსის გამო.

ოთხშაბათს დღის პირველ ნახევარში დოუ ჯონსის ინდექსი, რომელიც ასახავს ამერიკის შეერთებული შტატების 30 წამყვანი სამრეწველო კორპორაციის აქციების ღირებულებას, ერთბაშად 20 პუნქტით დაქვეითდა. ასოშიეიტედ პრესის საინფორმაციო სააგენტო ფასიანი ქაღალდების ღირებულების ახალ დაქვეითებას ხსნის მეანაბრეთა „ნერვიულობით", რომლებიც მოელიან ახალ სამთავრობო სტატისტიკურ ცნობას გასული წლის ნოემბერში ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო დეფიციტის შესახებ. ზოგიერთი სპეციალისტი ვარაუდობს, რომ მან შეიძლება გადააჭარბოს 15 მილიარდ დოლარს. საფონდო ბირჟაზე გამეფებული ურწმუნოების მეორე მიზეზია ამერიკული დოლარის მერყევი პოზიცია, რომლის კურსი გასული დღე-ღამის მანძილზე დასავლეთის სხვა წამყვანი ქვეყნების ვალუტებთან შედარებით კვლავ დაეცა.

◆ ტუნისი

პალესტინელთა მხარდასაჭერად

ტუნისი. ლიბიის მოთხოვნით არაბული ქვეყნების ლიგა 24 იანვარს შეიკრიბება მისი წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების საგანგებო სხდომაზე. ამას იუწყება ტუნისის ახალი ამბების სააგენტო. სხდომის მონაწილეებმა უნდა განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი ეროვნული უფლებებისათვის პალესტინელი ხალხის თავდადებული ბრძოლის მხარდასაჭერად, ნათქვამია ცნობაში.

ტელეტაიპის ლენტიდან

⊙ **ტოკიო.** იაპონიის ეროვნული თავდაცვის სამმართველოს უფროსი ცუტომუ კავარა დღეს ვიზიტად მიემგზავრება შეერთებულ შტატებში. გზად მიმავალი იგი შეჩერდება ჰავაის კუნძულებზე, სადაც შეამოწმებს იქ თავმოყრილ ამერიკის არმიის ნაწილებს. 19 იანვარს ვაშინგტონში იაპონია-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრის დამთავრებისთანავე გაიმართება „უმაღლესი სამხედრო დონის" ორმხრივი მოლაპარაკება კავარასა და ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრს ფრენკ კარლუჩის შორის.

⊙ **მაპუტუ.** ეგრეთ წოდებული „მოზამბიკის ეროვნული წინააღმდეგობის" ტერორისტები თავს დაესხნენ ქალაქ მანიხას, რომელიც 80 კილომეტრზე მდებარეობს მოზამბიკის დედაქალაქის მაპუტუს ჩრდილოეთით. როგორც მოზამბიკის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ბანდიტებმა მოკლეს 11 მშვიდობიანი მცხოვრები, დაჭრეს კიდევ 28 მოქალაქე, გაძარცვეს სავადმყოფო.

◆ ანგოლა

რასისტთა აგრესია

ლუანდა. რასისტული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ავიაციამ კვლავ დაბომბა ანგოლის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების პოზიციები კვანდო-კუბანგოს პროვინციაში და ქალაქი კვიტო-კვანავალე, ნათქვამია რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში, რომელიც ლუანდაში გავრცელდა. ამავე დროს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის თვითმფრინავებმა შეუტიეს ადგილობრივი მოსახლეობისათვის განკუთვნილი სურსათითა და პირველი საჭიროების საქონლით დატვირთულ ავტოკოლონას. მიმდინარე წლის ორ კვირაში უკვე მეოთხედ განიცდის პროვინცია საჰაერო თავდასხმას.

ავღანეთი:

საჭიროა ყველას კეთილი ნება

ავღანეთის მდგომარეობის პოლიტიკური მოწესრიგების პრობლემა ამ დღეებში მსოფლიო საზოგადოებრიობის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. ამას მრავალი მიზეზი აქვს.

შესრულდა ერთი წელი ავღანეთის შეიარაღებული ძალების მიერ ცეცხლის ცალმხრივი შეწყვეტიდან, რომელიც დაწესდა ეროვნული შერიგების პოლიტიკის შესასრულებლად, რომელიც ამ ქვეყნის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა. იანვრის დამდეგს მოეწყო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ე. ა. შევარდნაძის ვიზიტი ქაბულში და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილის მ. არმაკოსტას ვიზიტი პაკისტანის დედაქალაქ ისლამაბადში. ეს პრობლემა განიხილეს შარშან დეკემბერში საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრაზე, სადაც გადაწყვიტეს განაგრძონ მეცადინეობა მისი უსწრაფესი გადაჭრის მიზნით. მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტსაც, რომ ახლოვდება ავღანეთ-პაკისტანის მოლაპარაკების მორიგი რაუნდი, რომელიც ჟენევაში მიმდინარეობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენლის მეშვეობით. შეთანხმებულია მოწესრიგების შესახებ მორიგებათა თითქმის მთელი პაკეტი. **გადასაწყვეტი დარჩა მთავარი საკითხი: ავღანეთის საშინაო საქმეებში გარედან ყოველგვარი ჩარევის შეწყვეტის უზრუნველყოფა და ამის საფუძველზე საბჭოთა ჯარების სამშობლოში დაბრუნება.**

ქაბულში კონსტრუქციულად ემზადებიან ჟენევის მოლაპარაკებების მორიგი რაუნდისთვის და მხედველობაში აქვთ იგი დამამთავრებელი გახადონ. **როგორც ცნობილია, ამ „ჟენევის პროცესის" ფარგლებში ამერიკის მხარემ იკისრა ვალდებულება შეუწყვიტოს დახმარება დუშმანებს ავღანეთ-პაკისტანის შეთანხმების ხელმოწერიდან 60 დღის შემდეგ. ამის გათვალისწინებით საბჭოთა ჯარების გამოყვანა შეიძლება დაიწყოს ამერიკის ვალდებულების ძალაში შესვლისთანავე, ესე იგი დაახლოებით მაისის დამდეგს, თუ შეთანხმებას ხელს მოაწერენ მარტის დამდეგს.** იგი შეიძლება დამთავრდეს 12 თვის განმავლობაში, ხოლო ხელშემწყობ ვითარებაში უფრო ადრეც. ამისათვის ხელის შეწყობა შეუძლიათ როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებს, ისე პაკისტანსაც — ავღანეთის საქმეებში ჩარევის მთავარ პლაცდარმს.

მაგრამ ვაშინგტონიდან გაისმის განცხადებები, რომლებსაც სხვანაირად ვერ შევაფასებთ, თუ არა როგორც ადრე მიღწეულ მორიგებებზე უარის თქმის ცდას. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა შულცმა საჯაროდ დაადასტურა ამერიკის შეერთებული შტატების ვალდებულება შეუწყვიტოს დახმარება დუშმანთა შეიარაღებულ ქვეგანაყოფებს, მისი უწყების წარმომადგენლები ამტკიცებენ, „თითქოს მათ არაფერი იციან". უფრო მეტიც, თვით სახელმწიფო მდივანიც, რომელიც საკუთარ აზრს ეწინააღმდეგება, აცხადებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „მხარს დაუჭერს წინააღმდეგობის ძალებს (ანუ დუშმანებს) მათი მიზნების მიღწევაში". ხოლო როგორც ცნობილია, სწორედ დუშმანთა ხელით წარმოებს გამოუცხადებელი ომი ავღანეთის წინააღმდეგ.

რა თქმა უნდა, ამ გზით პოლიტიკური მოწესრიგების მიღწევა შეუძლებელია. **საჭიროა, რომ კონფლიქტის ყველა მონაწილე მხარემ გამოიჩინოს გულწრფელობა და კეთილი ნება, კონკრეტული მოქმედებით ხელი შეუწყოს ავღანეთში და მის გარშემო ვითარების ნორმალიზაციას.**

ფოტოფაქტი

ავღანეთი. სურათზე: გაცნობა.

საქდესის ფოტო.

შემთხვევა

უბედურებიდან იხსნეს

კოლომბო. კოლომბოს ნავსადგურში ნაპირიდან 20 კილომეტრზე უბედურება შეემთხვა საბაჟო სამსახურის კატარღის ეკიპაჟს, რომელსაც დაეხმარა საბჭოთა სავაჭრო გემი „გიორგი ჩიჩერინი".

როგორც გაზეთი „აილენდი" იუწყება, დილაადრიან 14 შრილანკელი მებაჟე კატარღით გავიდა ზღვაში კონტრაბანდისტთა გაუვნებლობის ოპერაციისათვის. მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ ძრავა გაფუჭდა და მისი ამუშავების ყველა ცდა ამაო აღმოჩნდა. კატარღა ღია ზღვაში მიიქანებოდა. მაშინ რადისტმა ეთერში დაიწყო უბედურების სიგნალების გადაცემა, რომლებიც მიიღო კოლომბოს ნავსადგურისაკენ მიმავალმა გემმა — „გიორგი ჩიჩერინმა". მალე კატარღის ეკიპაჟის ყველა წევრი საბჭოთა გემზე აიყვანეს. როგორც საქდესის კორესპონდენტს ნავსადგურის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა აცნობა, შრი-ლანკის საბაჟო სამსახურმა სსრ კავშირის საელჩოში გაგზავნა წერილი, რომელშიც მადლობას უხდის საბჭოთა მეზღვაურებს შრილანკელ მოსამსახურეთა გადარჩენისათვის.



ეს თქვენ
გაინტერესებდათ

ილია ჭავჭავაძის პოეზია

დიდი ქართველი მწერლის, ჰუმანისტისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავი ფართოდ და ღირსეულად აღინიშნა არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

როგორც „კომუნისტის“ გასული წლის 11 ნოემბრის ნომერში გაუწყეთ, ამ ღირსსახსოვარ თარიღს გამოეხმაურა გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხთა ორგანიზაციის — იუნესკოს 32 ენაზე გამომავალი ჟურნალი „კურიერი“, რომელმაც გამოაქვეყნა ცნობილი მთარგმნელისა და ლიტერატურათმცოდნის, გასტონ ბუაჩიძისა და „კურიერის“ მთავარი რედაქტორის, თვალსაჩინო ფრანგულენოვანი პოეტის ედუარდ გლისანის დიალოგი ილია ჭავჭავაძის პოეზიის შესახებ, აგრეთვე მწერლის რამდენიმე ლექსი.

ვბეჭდავთ დიალოგის სრულ ტექსტს.

გასტონ ბუაჩიძე: ილია ჭავჭავაძის შემოქმედება ბუნებრივად არის ჩაქსოვილი ქართული ლიტერატურის ტრადიციაში, რომელსაც ფესვი მეხუთე საუკუნემდე აქვს გადგმული. იმ პოეტურ ნაწარმოებთა შორის, რომლებმაც ნიადაგი მოუმზადეს მას, უწინარესად უნდა მოვიხსენიოთ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, დავით გურამიშვილის „დავითიანი“ და რომანტიკოსი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკა. ილია ჭავჭავაძის დროს საქართველოს ისტორია აღსავსეა უამრავი მოვლენით. პოეტი თავისი დროის გამომხატველია, ამ დროს შთაბერა სული მის პოეტურ ხელოვნებას. რუსთაველი ფილოსოფიურ-ეპიკური პოეზიის ოსტატია, რომელიც ვირტუოზულად ფლობს ლექსის მდიდარ და ფაქიზ მუსიკას; გურამიშვილმა ოსტატურად შეურწყა ერთმანეთს მრავალფეროვანი წყობანი და ამასთანავე გამოიყენა ბრწყინვალე და დიდი ზემოქმედების მქონე კომპოზიციები; ბარათაშვილის ლირიკაში მელანქოლიური და ობოლი სულის აღსარება ისმის; ილია ჭავჭავაძის ლექსი გამოირჩევა მკაფიო ხაზებით და გამჭვირვალებით, რაც მის ფართო მსოფლმხედველობას ემსახურება. ილიას პოეზიის ძირითადი თვისებებია სინათლე და უშუალო ზემოქმედება.

ედუარდ გლისანი: ჭავჭავაძის პოეზიისათვის ჭეშმარიტად დამახასიათებელია შინაგანი ძალა და სინატიფე, რასაც ვხვდებით ნებისმიერ ლიტერატურაში, რომელიც ადამიანის სულს სწვდება და დასაბამს აძლევს რაიმე ახალს, ამ მხრივ იგი ეხმიანება XVI საუკუნის ისეთი ფრანგი პოეტების თხზულებებს, როგორნიც არიან ჟან დე სპონდი ან ჟან-ბატისტ მასინიი. თანაც თავისი მუსიკალობის წყალობით იგი ლამის სიმბოლურ თვისებებს იძენს და ამასთანავე თანამედროვის უზადო ხმა აქვს დაყენებული. ჩვენს წინაშეა პირადი გრძნობებისა და საერთო ბედის ლირიკული შერწყმის ნიმუში.

გასტონ ბუაჩიძე: ამასთან დაკავშირებით, ნება მიბოძეთ, შეგახსენოთ რაოდენ მრავალფეროვანია ილია ჭავჭავაძის შემოქმედება: იგი არა მარტო პოეტია, არამედ პროზაიკოსიც, არა მარტო პუბლიცისტი, არამედ მებრძოლი ჰუმანისტიც, მოღვაწე, რომელიც თავს არ ზოგავს საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა მხარის მოსაგვარებლად. აი რატომ არის, რომ ისეთივე ან მსგავსი თემები და დებულებანი უძევს საფუძვლად მის პროზასა და პოეზიას, რომელიც ეხმიანება იმ საუკუნის გონება-განწყობილების სხვა გამომხატველების — პუშკინის, ვიქტორ ჰიუგოს თუ ლევ ტოლსტოის შემოქმედებას. ამ დებულებათა შორის შეგვიძლია გამოვყოთ ჰუმანიზმი (კერძოდ, სიკვდილის სასჯელის გაუქმების მოთხოვნაც), სოციალური სამართლიანობა, მწარე სიმართლის ძიება, მგზნებარე პატრიოტიზმი, ხალხის სწავლა-განათლებისათვის მოღვაწეობა.

ედუარდ გლისანი: ასეთი პოეზია დღესაც ისევე აქტუალურია. გავიხსენოთ ლაიბნიცის სიტყვები, რომლებიც ილიამ წარუმძღვარა თავის ლექსს „ქართვლის დედას“: „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“. ისტორიის მეხსიერება, მისი ნათელი და შავბნელი ფურცლები ყოველგვარი თვითმყოფადობის საძირკველია, განსაკუთრებით ჩვენს ხანაში, როცა ერთმანეთს ხვდებიან სხვადასხვაგვარი კულტურები და ცივილიზაციები. ახლა მთელი მსოფლიოს პოეზიას სწყურია როგორც უნივერსალური, ისე კერძო ხასიათის ღირებულებანი. ჩემი აზრით, აქაც ჭკუის სასწავლი მაგალითია ილიას პოეზია, მით უმეტეს, რომ მისი თარგმანი ენის „ტონალობას“ გვამცნობს. მაგრამ ხომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ ისევე, როგორც პუშკინის პოეზიის თარგმნისას, მელოდია გარდაუვალად და მნიშვნელოვანწილად იკარგება?

გასტონ ბუაჩიძე: თქვენი კითხვის პასუხად მინდა დავიმოწმო ფრანგულ ენაზე ქართული პოეზიის თარგმნის ჩემი გამოცდილება. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ (წიგნს 1988 წელს ერთად გამოსცემენ „რადუგა“ და „პუბლიკასიონ ორიანტალისტ დე ფრანსი“) თარგმნისას გადავწყვიტე შემენარჩუნებინა სტროფის ოთხივე სტრიქონის ერთიანი და განუმეორებელი რითმა და შეძლებისდაგვარად ვცდილობდი გადმომეცა ლექსის მუსიკა. როცა თანამედროვე პოეტს, გალაკტიონ ტაბიძეს ვთარგმნიდი, რომლის კრებული წელს გამოიცემა ორ ენაზე (ქართულ-ფრანგულად) თბილისში, პირიქით, რითმას ვწირავდი, ოღონდ ტექსტის რიტმულ ნახატს მივახლოვებოდი, ილია ჭავჭავაძის პოეზიის თარგმნისას უწინარეს ყოვლისა მსურდა შემენარჩუნებინა მისი პოეტური აზროვნებისათვის დამახასიათებელი წყობანი და ტონალობა — ერთდროულად თავშეკავებული და მძლავრი.

ედუარდ გლისანი: სწორედ ეგ თავშეკავება გადმოსცემს ჭავჭავაძის ენის სილამაზეს და პოეზიის მომხიბლაობას. იმედი მაქვს, რომ მისი ლექსების თარგმანები „კურიერ იუნესკოს“ სხვადასხვაენოვან გამოცემებში ჩვენს მკითხველს საშუალებას მისცემს უკეთ გაეცნოს ილია ჭავჭავაძის პოეზიას.

„კურიერ იუნესკო“, 1987 წ. ნოემბერი.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

კონკურსის შედეგები

შეჯამდა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს და საქართველოს მწერალთა კავშირის ერთობლივი ლიტერატურული კონკურსი, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავს მიეძღვნა.

კონკურსის ჟიურის გადაწყვეტილებით:

პირველი პრემია — 800 მანეთი მიენიჭა **ოთარ ივანეს ძე ჭილაძის** რომანს „მარტის მამალი“,

მეორე პრემია — 700 მანეთი — **ბალათერ სუმბათის ძე არაბულის** ლექსებისა და პოემების წიგნს „ქამი სინათლისა“ და **შოთა შალვას ძე ახაზიშვილის** მოთხრობების კრებულს „დიდი თეთრი წრე“ (350 მანეთი თითოეულს).

მესამე პრემია — 500 მანეთი — **კარპე იპოლიტეს ძე მუმლაძის** ნარკვევს „რუსთავის ამწემშენებელთა ბრიგადული იჯარა“ და **ილია პლატონის ძე ტატიშვილის** ნარკვევს „საინჟინრო ჯარების მარშალი არჩილ გელოვანი“ (250 მანეთი თითოეულს).

კონკურსში გამარჯვებული ავტორები დაჯილდოვდნენ საქართველოს პროფსაბჭოს და საქართველოს მწერალთა კავშირის საპატიო სიგელებით.

▲ ▲

კვლავ ლენინგრადში

საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ნათელა მკერვალიძის დებიუტი ლენინგრადის ს. კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე ამ შვიდი წლის წინათ გაიმართა ვერდის ოპერა „აიდაში“. მას შემდეგ წლების მანძილზე მომღერალს თითქმის ყოველ სეზონში იწვევენ ლენინგრადელები. „აიდას“ გარდა მას უმღერია ვერდისავე „ტრუბადურში“ და ვაგნერის „ლოენგრინში“.

ახლახან მომღერალი კვლავ ეწვია ლენინგრადს, ამჯერად ქართველ პარტნიორთან — რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტ ანზორ შომახიასთან ერთად. მათ ოპერა „აიდაში“ შეასრულეს აიდას და ამონასროს პარტიები.

▲ ▲

ონის თეატრის წარმატება

გასული წლის დამლევს ლატვიის სსრ ქალაქ ელგავის სახალხო თეატრის 28-ე წლისთავის ზეიმში პიესით „სოფლის გარდაცვალება“ მონაწილეობდა ონის სახალხო თეატრი. სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა წილად. ამის კიდევ ერთი დამადასტურებელია წერილი, რომელიც მიიღო ონის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა.

„თქვენი სახალხო თეატრი, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ სახალხო არტისტი გიგა ჯაფარიძე, გამოირჩეოდა დიდი სცენური კულტურით და იშვიათი კეთილშობილებით. გიგა ჯაფარიძის დადგმები მაღალ იდეურ და მხატვრულ დონეზეა, ძალზე საინტერესოა რეჟისორული ჩანაფიქრი. კარგია აქტიორთა თამაში...

ლატვიის კომპარტიის ელგავის საქალაქო კომიტეტი, ელგავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, ელგავის ცენტრალური კულტურის სახლი, ა. ალუნანის სახელობის სახალხო თეატრი მადლობას უცხადებენ თქვენი თეატრის კოლექტივს ელგავის თეატრალურ დღეებში მონაწილეობისათვის“ — წერია სამადლობელო წერილში.

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტებისა და საქინფორმის მასალები რუბრიკისათვის მოამზადა მ. ანასაშვილმა.

ახალი მემორიალი

ქართული თეატრის დღეს თბილისში პლეხანოვის გამზირზე № 2/80 სახლში გაიხსნა სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სახელმწიფო პრემიების ლაურეატის აკაკი ვასაძის სახლ-მუზეუმი. ეს იქნება საქართველოს სსრ თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმის ახალი ფილიალი. (უკვე კარგა ხანია არსებობს უ. ჩხეიძის, ა. ხორავას, მ. ჭიაურელის სახლ-მუზეუმები).

მუზეუმი გახსნა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარემ გ. ლორთქიფანიძემ. გამოვიდნენ პროფესორები დ. ჯანელიძე, ე. გუგუშვილი, მსახიობები თ. ბაქრაძე, თ. თუშიშვილი, მ. ჩახავა, ო. მეღვინეთუხუცესი, რ. ჩხიკვაძე, ვ. დოლიძე, თეატრმცოდნე ა. შალუტაშვილი.

• • •

სურათზე: ა. ვასაძის სახლ-მუზეუმის გახსნისას.

ვ. ვენგიურის ფოტო.

შემთხვევა

დამნაშავე დააკავეს

ოცდაერთი წახალისებაა სოხუმის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილებასთან არსებული არასაუწყებო დაცვის ქვეგანაყოფის ზემდეგის, მილიციის წარჩინებულის თენგიზ ნადარეიშვილის პირად საქმეში. ამ დღეებში კიდევ ერთი შეემატა.

...ღამით ვაგზლის მოედანზე გუშაგობისას თენგიზმა შენიშნა უსუფთაოდ ჩაცმული ახალგაზრდა კაცი, რომელსაც იღლიის ქვეშ ამოდებული ჰქონდა თოშრაკი. „ალბათ, მორიგი ჩამოსული მაწანწალაა“, — გაიფიქრა გუშაგმა და გადაწყვიტა შეემოწმებინა მისი საბუთები. მაგრამ ვერც კი მოასწრო ეთქვა „გთხოვთ, წარმოადგინოთ საბუთები“, რომ უცნობმა თითქოს დენმა დაუარაო, მოკურცხლა. თენგიზი გამოედევნა. მალე დაეწია გაქცეულს, თუმცა, მას ხელში აღარაფერი არ აღმოაჩნდა.

— აქვე მახლობლად, გადავაგდე ფულიანი ტომარა, აიღე, ოღონდ გამიშვი, — შეევედრა უცნობი.

ცოტა ხნის შემდეგ იგი უკვე თოპრაკით ხელში მიიყვანეს სამორიგეო ნაწილში.

— თოპრაკში რა არის, არ ვიცი, ვაგზალში ვიპოვე. გამიშვით, — თავისი ნათქვამის საწინააღმდეგოდ ირწმუნებოდა დაკავებული.

დამსწრეთა გასაოცრად ამოიღეს უამრავი ფული — 38 ათას მანეთზე მეტი.

გამოძიებაში ჩაებნენ ოპერატიული მუშაკები, რომლებმაც დაადგინეს დამნაშავის ვინაობა. იგი აღმოჩნდა 21 წლის ყაზანელი იგორ კალიაკონოვი. ორჯერ ნასამართლევი სამკურნალო-შრომითი პროფილაქტორიუმიდან გამოქცეულა. მოგვიანებით კი ცნობილი გახდა, რომ ეს ფული ზუგდიდის უნივერმაღიდან გაუტაციათ. მეორე დღეს დამნაშავემ თქვა, თუ სად ჰქონდა გადამალული კიდევ ოთხი ათასი მანეთი.

ნ. კორსანტია



გარდაიცვალა შინაგან საქმეთა ორგანოების დამსახურებული მუშაკი, 1942 წლიდან სკკპ წევრი, შინაგანი სამსახურის გადამდგარი პოლკოვნიკი ნიკოლოზ ივანეს ძე კორსანტია.

ნ. კორსანტია დაიბადა 1914 წელს ქ. ოჩამჩირეში გლეხის ოჯახში. 1937 წელს ლენინგრადის საფინანსო-ეკონომიკური ინსტიტუტის სრული კურსის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს აფხაზეთის ასსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატში. 1939 წლის მაისში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მობილიზაციით იგი გაიგზავნა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სისტემაში. მრავალი წლის მანძილზე ნ. კორსანტია ერთგულად ემსახურებოდა რესპუბლიკაში საზოგადოებრივი წესრიგისა და კანონიერების განმტკიცების საქმეს.

სამამულო ომის პერიოდში აქტიურად მონაწილეობდა აფხაზეთის ტერიტორიაზე შემოჭრილი გერმანელი ფაშისტების განადგურებაში. სადაც კი უმუშავია, თავი გამოიჩინა როგორც კარგმა ორგანიზატორმა, ინიციატივიანმა, პრინციპულმა და შრომისმოყვარე ხელმძღვანელმა.

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკებს დიდხანს ეხსომებათ ღირსეული მოქალაქე და გულისხმიერი კაცი ნ. კორსანტია.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგია, პოლიტგანყოფილება და პარტიული კომიტეტი.

სპორტი

მაია და გარი — წლის მოჭადრაკეები

ლიუცერნში (შვეიცარია) ფიდეს სამდივნომ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიც საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაცია 1987 წლის საუკეთესო მოჭადრაკეებად აცხადებს მსოფლიო ჩემპიონებს მაია ჩიბურდანიძესა და გარი კასპაროვს.

ცნობაში ნათქვამია, რომ მთელი გასული სეზონი მსოფლიო ჩემპიონებმა მაღალ დონეზე წარმართეს და „რეიტინგ-ლისტშიც“ საგრძნობლად უსწრებენ დანარჩენ დიდოსტატებს. ახლა სწორედ ჩიბურდანიძე და კასპაროვი ითვლებიან საჭადრაკო „ოსკარის“ უმთავრეს პრეტენდენტებად, რომელსაც საჭადრაკო ჟურნალისტების საერთაშორისო ფედერაცია ანიჭებს ხოლმე.

ვადამდე...

საბჭოთა კავშირის პირველმა ნაკრებმა ვადაზე ადრე გაიმარჯვა ჰაბუკ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირში და ვალენტინ გრანატკინის სახელობის პრიზს დაეუფლა. მეოთხე წრეში საბჭოთა ფეხბურთელებმა ანგარიშით 2:1 დაამარცხეს აშშ-ს გუნდი და რვა ქულა მოაგროვეს. აღსანიშნავია, რომ გამარჯვებული გუნდის შემადგენლობაში მიწვეული იყო ჩვენი რესპუბლიკის სამი ფეხბურთელი — მ. კალატოზიშვილი, ბ. თედეევი და ო. თეთრაძე.

ჩემპიონატის მოლოდინში

1988 წლის საფეხბურთო შეჯიბრებებიდან, რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირი, რომელიც 10-25 ივნისს გაიმართება დასავლეთ გერმანიის ქალაქებში. ფეხბურთის მოყვარულთათვის უკვე ცნობილია წილისყრის შედეგები. საბჭოთა კავშირის ნაკრები ინგლისის, ჰოლანდიისა და ირლანდიის გუნდებთან ერთად მეორე ჯგუფში იასპარეზებს.

— წილისყრის შედეგებს მშვიდად შევხვდით, — თქვა საბჭოთა კავშირის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვალერი ლობანოვსკიმ, — ან რა გვქონდა სანერვიულო. წინასწარვე ვიცოდით, რომ ფინალში ერთიმეორეზე უფრო ძლიერი გუნდები გავიდნენ. ასე რომ, ამჯერად „ძლიერ“ და „სუსტ“ ჯგუფზე ლაპარაკი ზედმეტია. ჩვენს მეტოქეთა შორის ბრიტანული ფეხბურთის ორი წარმომადგენელია და ამით ყველაფერი ნათქვამია. რამდენიმე წარუმატებელი სეზონის შემდეგ ძალებს იკრებს ჰოლანდიის ნაკრები, რომლის შემადგენლობაში გამოდიან თანამედროვე ფეხბურთის „ვარსკვლავები“ — გულიტი და ვან ბასტენი. როგორც ჰოლანდიელთა მწვრთნელმა მიხელსმა განაცხადა, მისმა გუნდმა მიზნად დაისახა ევროპის ჩემპიონის ტიტულის მოპოვება. ერთი სიტყვით, ძნელი მატჩები მოგველის.

ფინალში გასული გუნდების მწვრთნელთა შორის ყველაზე თავდაჭერილი გამოდგა ირლანდიის ნაკრების ხელმძღვანელი, ცნობილი ინგლისელი მცველი ჯეკ ჩარლტონი, რომელიც დიუსელდორფში წილისყრაზე არ ჩავიდა. ის კი არა, ჩარლტონი შინაც არ ყოფილა თურმე, შვებულებაში გასულა.

გუშინ ბონიდან მივიღეთ ცნობა, რომ ჩემპიონატის პირველი და ფინალური მატჩების ყველა ბილეთი უკვე გაიყიდა, ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ ტურნირის დაწყებამდე დანარჩენი მატჩების ბილეთებიც გაიყიდება.

უსიტყვოდ.

რედაქტორი
ნ. ფოფხაძე.

სიახლე

მაღაზიაში — ცნობისათვის

თბილისის ცენტრში — პლეხანოვის პროსპექტზე მდებარე ამ მაღაზია-სალონიდან მყიდველი კმაყოფილი, თუმცა... ხელცარიელი გამოდის.

ვრცელ სალონში არ არის ჩვეულებრივი დახლები მათზე დალაგებული საქონლით. ამ საქონლის ნიმუშები, კარის სახელურებით დაწყებული და საავარაკო სახლების ფოტოსურათებით დამთავრებული, ვიტრინებშია გამოფენილი. თუმცა აქ შემოსულთა ყურადღებას თავიდან ყოველივე ეს იმდენად არ იქცევს, რამდენადაც დისპლეი და უზარმაზარი ელექტრონული ტაბლო. ჯერჯერობით სტუმრები ცნობისმოყვარეობითა და უნდობლობით უყურებენ მათ, არ ჩქარობენ ისარგებლონ კომპიუტერის მომსახურებით. — ეს ჯერ უჩვეულოა.

სხვებზე უფრო „გაბედული“ აღმოჩნდა თბილისელი გურამ მჭედლიშვილი. ნათქვამია, გაჭირვება მაჩვენეო... ხომ გაგიგონიათ, — ღიმილით გვითხრა მან. თურმე, ნახევარი დღე დადიოდა ერთი მაღაზიიდან მეორეში და ეძებდა მერქან-ბურბუშელის ფილებს, მაგრამ ყოველთვის „იქ არ ხვდებოდა“. ამ მაღაზიაშიც შემთხვევით შემოიარა. და აი, რამდენიმე წამში მანქანამ მისცა იმ სავაჭრო ობიექტების მისამართები, რომლებსაც აქვთ საჭირო მასალა. უფრო მეტიც, კომპიუტერმა ამ ობიექტებისაკენ მიმავალი ოპტიმალური სატრანსპორტო მარშრუტებიც მიასწავლა.

ასეთი საინფორმაციო ცენტრი რესპუბლიკაში ჯერჯერობით ერთადერთია. მაგრამ მაღაზიები „ყველაფერი სახლისათვის“, სადაც შეიძლება საშენი მასალისა და სანტექნიკური მოწყობილობის შეძენა, მარტო თბილისში ოცზე მეტია. მყიდველს არა ჰქონდა სარწმუნო ინფორმაცია ამ მაღაზიებში საქონლის ასორტიმენტის შესახებ.

საქართველოს ტელევიზიის მომავალი კვირის პროგრამა

ორშაბათი, 18 იანვარი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი“ (მ). 9.40 — მხატვრული ფილმი „ვაგზალი ორისათვის“. პირველი სერია. 14.00 — მოკლემეტრაჟიანი ქართული მხატვრული ფილმი „ბელურების გადაფრენა“. 15.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ეს მძიმე, მძიმე წონა“. 15.30 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 15.40 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 15.50 — მოსწავლეთათვის. რუსული ენა. 16.20 — დოკუმენტური ფილმები „მოსკოვის კრემლი“ და „გობელენი, ქანდაკება და ჩვენ“. 17.10 — მოსწავლეთათვის საქართველოს ისტორია. 17.40 — საქართველოს ჩემპიონატი მინიფეხბურთში. 18.10 — სპორტული პროგრამა. 18.45 — „დემოკრატიის გაკვეთილი“. 19.30 — საერთაშორისო დღიური. 20.00 — მოამბე. 20.35 — კინოჟურნალი „საბჭოთა საქართველო“. 20.45 — რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი — „ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე“. პირველი მოქმედება. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი“. 22.50 — „ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე“. მეორე მოქმედება.

მეორე პროგრამა. 17.05 — მხატვრული ფილმი „თანამონაწილენი“. 18.35 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 19.05 — „ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი „შანსი“.

სამშაბათი, 19 იანვარი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი“. 9.40 — მხატვრული ფილმი „ვაგზალი ორისათვის“. მეორე სერია. 14.00 — ქართული ენის ტელეკურსი. 14.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „აი ასეთი სიტუაცია“. 15.00 — აბიტურიენტთათვის. ქიმია. 15.30 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 15.40 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 15.50 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 16.20 — მულტიპლიკაციური ფილმი. 16.30 — მოსწავლეთათვის. „საახალწლო ნაძვის ხე ცირკში“. 18.10 — განცხადებები. 18.15 — „დაე იყოს წელი მშვიდი და ბარაქიანი“. 18.40 — ჭიდაობა. გუშინ, დღეს, ხვალ. 19.25 — სპორტული პროგრამა. 20.00 — მოამბე. 20.40 — „ვ. ი. ლენინი. ცხოვრების ფურცლები“. მრავალსერიიანი სატელევიზიო ფილმი. „ვაკვირდებით რა ოციან წლებს“. ფილმი პირველი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — შეხვედრა რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტთან ნუნუ გაბუნიასთან.

მეორე პროგრამა. 17.05 — მხატვრული ფილმი „მილიონი საქორწილო კალათში“. 18.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 19.15 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 20.00 — მოამბე. 20.40 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „სიყვარული და დოლარი“.

ცისფერ ეკრანზე

ოთხშაბათი, 20 იანვარი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი“. 9.40 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მოგვების საჩუქარი“. 14.00 — მათემატიკის ტელეკურსი. 14.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ალმისი“. 15.00 — მასწავლებლის საათი. ბუნების დაცვა. 15.30 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 15.40 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 15.50 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 16.20 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქარხნის ზოგი გასაჭირი“. 16.40 — განცხადებები. 16.45 — „ბავშვებს მხეცების შესახებ“. 17.15 — რეკლამა. 17.25 — თეატრალური აფიშა. 17.55 — საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის შემოქმედებითი პლენუმი. 18.40 — მოსწავლეთათვის. „შეხვედრა მწერალთან“. 19.30 — „გარდაქმნა დროის მოთხოვნაა“. 20.00 — მოამბე. 20.35 — „გარდაქმნის წახნაგები“. 20.50 — „ვ. ი. ლენინი. ცხოვრების ფურცლები“ მრავალსერიიანი სატელევიზიო ფილმი. „ვაკვირდებით რა ოციან წლებს“. ფილმი მეორე (მ). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — გიწვევთ თბილისის საკონცერტო დარბაზებში. მღერის ქალთა ტრიო „პალიტრა“.

მეორე პროგრამა. 17.05 — მხატვრული ფილმი „უმ-ვილოდ ნუ მოხვალ“. 18.25 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 19.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 20.00 — მოამბე. 20.35 — „კინომოგზაურობა“.

ხუთშაბათი, 21 იანვარი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი“. 9.40 — მხატვრული ფილმი „ულიანოვების ოჯახი“. 14.00 — აბიტურიენტთათვის. ბიოლოგია. 14.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მეშახტეები“. 15.00 — მასწავლებლის საათი. ოჯახური ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია. 15.30 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 15.40 — „დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე“. 15.50 — ტელეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 16.20 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „მიკროქირურგია“. 16.30 — განცხადებები. 16.35 — „ჯადოსნური ეკრანი“. 17.00 — მოსწავლეთათვის. კონცერტი. 17.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ავტოპორტრეტი ყვავილებით“. 17.35 — „ვერტიკალი“. 19.00 — „საბჭოეთის ქვეყანა“. საკავშირო სამხატვრო გამოფენა. 20.00 — მოამბე. 20.35 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 20.50 — „ვ. ი. ლენინი. ცხოვრების ფურცლები“. მრავალსერიიანი სატელევიზიო ფილმი „ვაკვირდებით რა ოციან წლებს“. ფილმი მესამე. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — მხატვრული ფილმი „საგანგებო მდგომარეობა“.

მეორე პროგრამა. 16.50 — მხატვრული ფილმი „ტყის იები“. 18.20 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 19.20 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 20.00 — მოამბე.

პარასკევი, 22 იანვარი

პირველი პროგრამა. 7.20 — „120 წუთი“. 9.40 — მხატვრული ფილმი „საგანგებო მდგომარეობა“. 14.00 — ფიზიკის ტელეკურსი. 14.30 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „კედარი უტყუოდ ვერ ცოცხლობს“. 15.00 — მასწავლებლის საათი. დაწყებითი განათლება. 15.30 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 15.40 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 15.50 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 16.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ყველა დროის ხელოვნება“. 16.40 — კინოს სამყაროში. 18.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ახალი სახლი“. 18.20 — „გარდაქმნის წახნაგები“ — „სოფელი გონიერია“. 19.05 — „მეგობრობა გზად და ხიდად“. „ლიტერატურული ლიტვა“. 20.00 — მოამბე. 20. 35 — კომპოზიტორ ფილიპე ღლონტის საავტორო კონცერტი. 21.35 — სსრ კავშირის ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი; 22.50 — საქართველოს სანაოსნო ცისფერ გზებზე. 22.50 — მხატვრული პროგრამა.

მეორე პროგრამა. 17.05 — მხატვრული ფილმი „ოქროს კიბეზე მჯდომი“. 18.15 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.45 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 20.00 — მოამბე.

შაბათი, 23 იანვარი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი“. 9.40 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 9.50 — შევისწავლოთ ქართული ენა. 10.20 — „კინომოზაიკა“. 11.05 — შევისწავლოთ რუსული ენა. 11.35 — „ჯანმრთელობა“. 12.15 — პოეზიის ხუთი წუთი. 12.20 — „ამბავი ნამდვილი ადამიანებისა“. მხატვრული ფილმი „თამამობანი სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის“. 13.55 — მუსიკის სამყაროში. 15.10 — პოეზიის ხუთი წუთი. 15.15 — „ჯადოსნური ეკრანი“. 15.40 — საინფორმაციო გამოშვება. 15.50 — „გლობუსი“. 16.45 — პოეზიის ხუთი წუთი. 16.50 — „სამხრეთის საზღვრების სადარაჯოზე“. სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 17.35 — მოსწავლეთათვის. „ჯადოსნური სალებავი“. 18.20 — პოეზიის ხუთი წუთი. 18.25 — „მეცნიერება, ტექნიკა, ხარისხი — 90“. 19.25 — სპორტული პროგრამა. 20.00 — მოამბე. 20.40 — ქართული მხატვრული ფილმი „ჩიორა“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი (მ). 22.50 — „გილოცავთ!“ (საახალწლო პროგრამის გამეორება).

კვირა, 24 იანვარი

პირველი პროგრამა. 9.40 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 9.50 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 10.10 — საესტრადო გასართობი პროგრამა. 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები“ 11.30 — კინოაფიშა. 12.00 — ქართული ხალხური სიმღერის შესწავლა. 12.30 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 13.00 — საკვირაო გამოფენა. 13.05 — შემეცნებითი გასართობი პროგრამა ახალგაზრდობისათვის. 14.05 — საკვირაო გამოფენა. 14.10 — სსრ კავშირის ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. 14.40 — სატელევიზიო პროგრამა „ახალგაზრდობა“. 15.55 — საკვირაო გამოფენა. 16.00 — „ვესტნიკი“. 16.30 — კამერული მუსიკის ფესტივალი „ქება ვაზისა“ (ბოლო კონცერტი). 18.10 — „გარდაქმნის წახნაგები“. „გლეხკაცის ახდენილი ოცნება“ (წითელწყაროს რაიონში მელიორაციის აღორძინების საკითხები). 18.40 — ახალგაზრდობისათვის. „რჩევა-დარიგება ახალგაზრდა დედებს“. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — ზღაპრის გუდა. 20.00 — მოამბე. 20.40 — ახალგაზრდობისათვის. „ქაბულის დროით 12 საათია“. რეპორტაჟი ავღანეთიდან (პირველი და მეორე გადაცემის გამეორება). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „ოპერის მოყვარულთა კლუბი“. 23.40 — სპორტული პროგრამა.

შაბათი — 16 იანვარი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი“. 9.35 — ხალხური ანსამბლის კონცერტი. 9.50 — დოკუმენტური ფილმი. 10.10 — „რატომ და რისთვის“. 10.40 — საბჭოეთი. საკავშირო სამხატვრო გამოფენა. 11.25 — დოკუმენტური ფილმი „რუსეთის დიდებული სახელები. სტანისლავსკი“. 11.55 — „პორტრეტი ვარიაციებით“. 12.35 — ყველასა და თითოეულისათვის“. 13.05 — სოციალიზმის ქვეყნებში. 13.35 — „ცისარტყელა“ (ნიკარაგუა). 14.00 — მხატვრული ფილმი „ჭაბუკი ჩვენი ქალაქიდან“. 15.30 — ახალი ამბები. 15.40 — ცხოველთა სამყაროში 16.40 — ფიგურული ციგურაობა. 17.40 — შერიგების ძნელი გზებით. გადაცემას უძღვება პოლიტიკური მიმომხილველი ი. ფესუნენკო. 18.40 — დოკუმენტური ტელეფილმი. 19.30 — მულტფილმი. 19.40 — საახალწლო წარმოდგენა (1 იანვრის გადაცემის გამეორება). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — საახალწლო კონცერტის გაგრძელება. 0.20 — ახალი ამბები. 0.25 — ფიგურული ციგურაობა.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — პროგრამა „ცოდნა“. ტელემიმოხილვა „პერსპექტივა“. სოციალისტური ქვეყნების სამეცნიერო-შემეცნებითი პროგრამების შესახებ ციკლის გახსნა. 10.00 — სატელევიზიო თეატრალური აბონემენტი. ა. ს. პუშკინი. „პიკის ქალი“. 11.35 — ჯანმრთელობა. 12.20 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „უკანასკნელი ფაეტონი“. 12.40 — გარდაქმნა და სამართალი. 12.55 — ისტორიის ფურცლები. ისტორია და თანამედროვეობა. ტელედიალოგი. 13.40 — წლის დრონი. იანვარი. 14.40 — საბჭოური პოეზია. ა. ბლოკი. პოემა „თორმეტნი“. 15.10 — გამოჩენილი ადამიანების ცხოვრება.. ი. ვ. კურჩატოვი. 15.55 — მოსკოვის მუსიკალური ოჯახები. ა. ნ. სკრიაბინის სახლში. 17.10 — სუბტიტრებიანი მხატვრული ფილმი „ხუთი საღამო“. 18.50 — ჰოკეი. „სპარტაკი“ — ცსკა. 20.15 — „მეცნიერული ფანტასტიკა და კაცობრიობის მომავალი“. ფანტასტ მწერალთა საერთაშორისო კონფერენციის შედეგები. 20.50 — კინოჟურნალი. „ეკრანზეა ციმბირი“. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.15 — „ნება მიბოძეთ შემოვიდე“. თაობათა ურთიერთობის შესახებ. გადაიცემა ალმა-ათიდან. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — აშკარა — დაუჯერებელი. 23.50 — შაბათი მშობლების დღეა. 1.20 — ახალი ამბები.

თბილისი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი“. 9.40 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 9.50 — მულტიპლიკაციური ფილმი. 10.00 — შევისწავლოთ ქართული ენა. 10.30 — ხალხური შემოქმედება — ქალაქური ჰანგები. 11.15 — პოეზიის ხუთი წუთი. 11.20 — შევისწავლოთ რუსული ენა. 11.50 — ამღერებული ლექსი. დ. გვიშიანი. 13:00 — ამბავი ნამდვილი ადამიანებისა. მხატვრული ფილმი „თანამონაწილენი“. 14.40 — პოეზიის ხუთი წუთი. 14.45 — „ჯადოსნური ეკრანი“. 15.10 — ახალგაზრდობისათვის. ტურისტული ჩანახატები. 15.40 — საინფორმაციო გამოშვება. 15.50 — „სამხრეთის საზღვრების სადარაჯოზე“. სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 16.35 — პოეზიის ხუთი წუთი. 16.40 — მხიარული ეკრანი. 17.15 — საცეკვაო რიტმები. 17.40 — შეთანხმების რთულ გზებზე. გადაცემას უძღვება პოლიტიკური მიმომხილველი ი. ფესუნენკო. 18.40 — ხალხური შემოქმედება. კონცერტი. 19.15 — ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი სუომი. 19.35 — გარდაქმნის წახნაგები. ხუთწლედი — წელი მესამე. 20.00 — მოამბე. 20.40 — თანადგომა. 21.00 — იტალიური კაპრიჩიო. ასრულებს საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს რევაზ ლაღიძის სახელობის სიმფონიური ორკესტრი. დირიჟორი გ. აზმაიფარაშვილი. 21.20 — სპორტული პროგრამა. 22.00 — „ვრემია“, 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — მხატვრული პროგრამა.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 68434 უე 10613 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის ფ9. 1 2 3 4 5–7 8–9 10 11 12 13 14